პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 23 ნოემბერი, 1945 წ. № 231 (7446). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე. (1-ლი გვერდი).
მისალმებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს. (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკი პ. გ. ჩანჩიბაძე თბილისში. (1-ლი გვერდი).
საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი გამარჯვებანი. „პრავდის“ მოწინავე. (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება: აგიტატორთა შერჩევას მეტი ყურადღება; პარტორგანიზაციის ინიციატივით. (მე-2 გვერდი).
ა. ძნელაძე — მოვემზადოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. (მე-3 გვერდი).
კვლავ საქართველოში. (მე-3 გვერდი).
მრავალი ქანდაკების უძველესი ნიმუშები საქართველოში. (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები. (მე-4 გვერდი).

# არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება

მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ხალხი არჩევნების დღეს მოელის, როგორც დიად დღესასწაულს. ჩვენში დამკვიდრებული საუკეთესო ტრადიციის მიხედვით მშრომელები უკვე ფიქრობენ იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ არჩევნების დღეს, რა საჩუქრები მიუძღვნან სამშობლოს ამ დღისათვის. ამიტომაც ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, შახტებსა და მაღაროებში ახალი ძალით ჩაღდება მუშაობა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანების გადაჭრა დიდ მუშაობას მოითხოვს. „ჩვენ გვესაჭიროება მძიმე მრეწველობის ახალი აღმავლობა, რათა ქვეყანა უზრუნველვყოთ ლითონით, ქვანახშირით, ნავთით, ორთქლმავლებით, ვაგონებით, ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ავტომობილებით, სხვადასხვა გემებით, ელექტროსადგურებითა და მრავალი სხვა მოწყობილობით“ (ვ. მ. მოლოტოვი).

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მძიმე მრეწველობის ახალი აღმავლობა, საჭიროა არა მარტო მთელი ძალების მობილიზაცია, არამედ მრეწველობაში ჩვენი დროის დიდი ტექნიკური აღმოჩენების დანერგვა და გამოყენებაც, უპირველესი ყურადღების დათმობა ტექნიკური დონის ამაღლებისა და მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის საკითხებისადმი. ამასთან, როგორც ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი ამბობს, „ჩვენ მეტი უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოვაწყოთ უფრო სწორად შრომა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და ყველა ჩვენს დაწესებულებაში, რათა საბჭოთა ადამიანის შრომის ნაყოფიერებამ და მისი მუშაობის ხარისხმა საუკეთესო შედეგი მოგვცეს“.

საბჭოთა ადამიანები ყველაფერს აკეთებენ, რათა უკეთესად მოაწყონ თავიანთი შრომა, აამაღლონ მისი ნაყოფიერება, მიიღონ თავიანთი მუშაობის საუკეთესო შედეგი. ამ პატრიოტული მისწრაფებით არის შთაგონებული ტყიბულელი მეშახტეების ინიციატივა — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ტყვარჩელელ ამხანაგებთან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის.

კარგა ხანია ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები ერთმანეთს ეჯიბრებიან. გუშინწინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივის წერილი ტყვარჩელელი მეშახტეებისადმი. წერილში ნაჩვენებია, თუ რა შედეგი გამოიღო ამ ორი კოლექტივის სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ტყიბულელი ამხანაგები მოგვითხრობენ, რომ ტყვარჩელელებთან სოციალისტურმა შეჯიბრებამ გააძლიერა მეშახტეების დარაზმულობა, გამოიწვია საერთო შრომითი აღმავლობა. ლენინის სახელობის შახტში მოწინავის სახელი მოიპოვა მეოთხე საექსპლოატაციო უბანმა, რომლის უფროსია გ. ფანჩულიძე. თუ შეჯიბრებამდე ნ. ცერცვაძისა და გ. ჩიტიშვილის უბნები ჩამორჩენილი იყვნენ, ახლა მოწინავეთა რიგებში არიან და დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებენ. ტყიბულელებმა შესძლეს შახტში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა. მათ გამართეს და უკვე იყენებენ ყველა უახლეს საშახტო მოწყობილობას, რამაც შესაძლებელი გახადა შახტის სრული საპროექტო სიმძლავრით ამუშავება. ლავის კომპლექსური საექსპლოატაციო ბრიგადების ჩამოყალიბებამ დიდად შეუწყო ხელი შახტში შრომის ნაყოფიერების ზრდას. შარშან წლიური დავალება ლენინის სახელობის შახტის მუშაკებმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო მიმდინარე წლის ათ თვეში ჩვენს ქვეყანას უკვე მისცეს 3 ათასი ტონა ქვანახშირი იმაზე მეტი, რაც მთლიანად გასულ წელს.

ქვანახშირი მრეწველობის პურია. მასზე დიდად არის დამოკიდებული ახალი აღმავლობის მიღწევა მრეწველობაში და ტრანსპორტის მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება. ქვანახშირის ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა სავსებით შეგნებული აქვთ ჩვენს მეშახტეებს. ამიტომ არის, რომ ისინი ბოლშევიკურად იბრძვიან საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად, იმისათვის, რომ უახლოეს წლებში ერთი სამად გაადიდონ ქვანახშირის მოპოვება.

ტყიბულელი მეშახტეები ამ პატრიოტული მისწრაფებით იყვნენ შთაგონებულნი, როცა გამოვიდნენ წინადადებით — გააჩაღონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადების პერიოდში სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა შესრულებისა და მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით დაწყებისათვის.

შეჯიბრების ინიციატორებმა იკისრეს ნოემბრისა და დეკემბრის გეგმები შეასრულონ არანაკლებ 110 პროცენტისა, 1946 წლის იანვრისა და თებერვლის პირველი ნახევრის დავალებანი არჩევნების დღის — 10 თებერვლისათვის; სამთო მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა 105 პროცენტით; წლის ბოლომდე 5 ახალი ლავის ნაცვლად მოამზადონ 7; ყველა უბანზე დანერგონ რიტმიული მუშაობა, რათა ეს უბნები ყოველ დეკადაში გადაჭარბებით ასრულებდნენ ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმებს; 5 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, ქვანახშირის ნაცრიანობა შეამცირონ 2 პროცენტით; გასწიონ ელექტროენერგიის ეკონომია სულ მცირე 5 პროცენტით; მიაღწიონ ლავებსა და სანგრევებში ტექნიკური ზედამხედველობის გაუმჯობესებას; გააშალონ შეჯიბრება შახტის ყველა უბანსა და ცვლას შორის, ჩააბან მასში ყველა მეშახტე.

— მაშ, ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, ამხანაგო ტყვარჩელელებო, მივცეთ სამშობლოს მეტი ქვანახშირი, ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლის ამხანაგი **სტალინი!**

ასე სწერენ ტყიბულელი მეშახტეები! მათ მოწოდებას, ეჭვი არ არის, მხარს დაუჭერენ და ფართოდ გამოეხმაურებიან ტყვარჩელელები და არა მარტო ტყვარჩელელები. ეს შეჯიბრება ხელს შეუწყობს აღმავლობას ქვანახშირის მრეწველობაში, და ბუნებრივია, ახალ წარმატებას მთელ ჩვენს მრეწველობაში.

ტყიბულელი მეშახტეების ინიციატივა, მათ მიერ გამოცხადებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მიძღვნილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი, წარმოადგენს პატრიოტულ წამოწყებას; იგი თანაგრძნობას და მხარდაჭერას ჰპოვებს საბჭოთა საქართველოს ყველა მეშახტის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის გულში.

ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, მივაღწიოთ ქვანახშირის მოპოვების მკვეთრად გადიდებას, საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს!

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ოჩამჩირის რაიონის აძუბჟას და ტამიშის სასოფლო საბჭოებიდან ზოგიერთი სოფლის გამოყოფისა და ახალი სასოფლო საბჭოების შექმნის შესახებ

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და

1. გამოეყოს ოჩამჩირის რაიონის აძუბჟას სასოფლო საბჭოს სოფლები: ახალდაბა, აგარაკი, წყურგილი, ბალანი და შეიქმნას მათგან:
   ა) ახალდაბის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ახალდაბაში;
   ბ) აგარაკის სასოფლო საბჭო სოფლებით: აგარაკი, წყურგილი და ბალანი ცენტრით სოფელ აგარაკში.
2. სოფელს, რომლის ტერიტორიაზე მოთავსებულია ოჩამჩირის რაიონის ტამიშის სასოფლო საბჭოში შემავალი მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა — მიეკუთვნოს სახელი ცაგერა.
3. გამოეყოს ოჩამჩირის რაიონის ტამიშის სასოფლო საბჭოს სოფელი ცაგერა და ტუნგოს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია და შეიქმნას მათგან ცაგერას სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ცაგერაში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1945 წლის 21 ნოემბერი, ქ. თბილისი

## ნავთის შადრევანი კავთისხევში

**20 ნოემბერს, დილის 7 საათზე კავთისხევის ნავთის საძიებელი უბნის № 5 ჭაბურღილიდან უცებ მოისმა ძლიერი ხმაური. რამდენიმე წუთის შემდეგ 563 მეტრის სიღრმიდან ამოხეთქა ნავთის გაზმა. მას ამოჰყვა თიხის ხსნარი, რომლის შადრევანი ჭაბურღილის კოშკის თავამდე ადიოდა. 40 წუთის შემდეგ გაზი გადავიდა თხევად მდგომარეობაში და მიწის ზედაპირზე დენა იწყო ნავთმა.**

**კავთისხევის საძიებელი უბნის ინჟინერ-ტექნიკოსებმა, რომელსაც გეოლოგი ამხ. ვ. საყვარელიძე ხელმძღვანელობს, სასწრაფოდ მიიღეს ზომები ჭაბურღილის დასაკონსერვებლად.**

**ძიება გრძელდება.**

**ვ. გუჯალაძე**
**„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი**

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს

ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ!

უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი გულითადად მოგესალმებიან თქვენი 70 წლისთავის დღეს თქვენ, საბჭოთა სახელმწიფოსა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს და გილოცავენ მთავრობის მაღალ ჯილდოს—ლენინის ორდენს.

ნახევარი საუკუნის წინათ, დაადექით რა ხალხისადმი უანგარო სამსახურის გზას, თქვენ ათობით წლის განმავლობაში მუშაობდით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინთან და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინთან ერთად. სახელმწიფოებრივი და პარტიული მშენებლობის თქვენი უდიდესი გამოცდილება დიდ წვლილს წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცების, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ხალხისადმი ერთგული სამსახურით თქვენ მოიხვეჭეთ მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო პატივისცემა მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელსაც თქვენ ლენინურ-სტალინურ იდეათა ერთგულ და პრინციპულ გამტარებლად მიაჩნიხართ.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, ჯანმრთელობას და მრავალი წლის ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭო**

**უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე კალინინს

ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენი 70 წლისთავის დღეს, ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს.

ბელორუსი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს დიდ მუშაობას ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნისა და განმტკიცების დარგში. დიდი სამამულო ომის დროს თქვენ ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეთ ბელორუს ხალხს მის ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში თქვენ მუდამ ზრუნავდით და ზრუნავთ საბჭოთა ბელორუსიის ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

გისურვებთ, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

**ბელორუსიის სსრ სახალხო კომისართა საბჭო**

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. ი. კალინინს

ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ!

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია თქვენი სამოცდაათი წლისთავის დღეს უმხურვალეს მილოცვას და სურვილებს გითვლით.

მთელი თქვენი სიცოცხლე ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია. მთელი ცხოვრების მანძილზე თქვენ დაუღალავად იბრძოდით საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის და ღირსეულად სარგებლობთ მისი ღრმა პატივისცემითა და გულწრფელი სიყვარულით.

არალეგალობის მძიმე წლებში და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის დაძაბული ბრძოლის პერიოდსა და მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, დიდი სამამულო ომის მრისხანე განსაცდელის დროს—თქვენ მუდამ შეგქონდათ ხალხში ბოლშევიკების პარტიის დიადი იდეები და იბრძოდით მათი განხორციელებისათვის. მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, დაწყებული 1919 წლიდან, თქვენ საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელი ხართ.

უდიდეს და პასუხსაგებ სახელმწიფო მოღვაწეობასთან ერთად თქვენ მუშაობას ეწევით სამშობლოსადმი ერთგულების, ხალხთა შორის მეგობრობის, მაღალი კომუნისტური მორალის სულისკვეთებით ხალხის პოლიტიკური აღზრდისათვის.

გისურვებთ, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ მუშაობის განსაგრძობად.

**სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია**

### პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

## მზადება საზამთრო სასპორტო სეზონისათვის

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ განიხილა პროფკავშირული სასპორტო ორგანიზაციების საზამთრო სეზონისათვის მზადების საკითხი.

პროფკავშირული ორგანიზაციები და ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებათა საბჭოები ამთავრებენ სათხილამურო ბაზების სადგომთა და სასრიალოთა რემონტს, უზრუნველჰყოფენ მათ სამეურნეო და სასპორტო ინვენტარით, სათბობით, განათებით და სხვა. სასრიალოებისათვის იყენებენ საწარმოებსა და მუშათა დაბებთან არსებულ სტადიონებს, მოხერხებულ მოედნებს და წყალსატევებს.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება შეიტანა მოეწყოს იმ მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა მასობრივი სწავლება, რომლებიც ახლა სწავლობენ სათხილამურო და საციგურაო სპორტს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდობის სასპორტო მომზადებას 20 და 30 საათიანი პროგრამის მიხედვით. ამავე დროს უნდა მიღებულ იქნას ზომები სასპორტო საზოგადოებებსა და სკოლებში სასწავლო მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ზამთრის განმავლობაში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს მოთხილამურეთა და მოციგურავეთა საფაბრიკო-საქარხნო შეჯიბრება, ექსკურსიები, სეირნობა და ლაშქრობა თხილამურით, მასობრივი კარნავალები და გართობა სასრიალოებზე. სკოლისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის უნდა მოეწყოს ყინულის გორაკები, სასრიალოები და სხვა გართობა ჰაერზე.

დეკემბერში მოეწყობა მოკლევადიანი კურსები და სემინარები საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა, რომელნიც სათხილამურო და საციგურაო სპორტს შეასწავლიან მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს. (საქ-დესი).

## „დინამოს“ და ინგლისის ნაკრები გუნდის მატჩი—4:3

**ლონდონი,** 21 ნოემბერი. (საქ-დესი). დღეს „ტოტენჰემის“ სტადიონზე შესდგა საფეხბურთო მატჩი „დინამოს“ საბჭოთა გუნდსა და ინგლისის ნაკრებ გუნდს შორის. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 4:3 „დინამოს“ გუნდის სასარგებლოდ.

## „დინამოს“ და „არსენალის“ საფეხბურთო მატჩის გამო

**ლონდონი,** 20 ნოემბერი. (საქ-დესი). „დინამოს“ გუნდის კაპიტანმა სემიჩასნიმ დღეს საღამოს პრესისათვის გადასცა შემდეგი განცხადება:

„ინგლისის ზოგიერთ გაზეთებში ინგლისელთა იმ გუნდის შემადგენლობის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელსაც ოთხშაბათს 21 ნოემბერს საფეხბურთო შეხვედრა ექნება „დინამოს“ კლუბის საბჭოთა გუნდთან, და ამის გამო შემოსულ მრავალრიცხოვან შეკითხვებთან დაკავშირებით „დინამოს“ გუნდის კაპიტანს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

1) 14 ნოემბერს საფეხბურთო ასოციაციის შენობაში საბჭოთა სპორტული დელეგაციის წარმომადგენლებისა და საფეხბურთო კლუბ „არსენალის“ ხელმძღვანელთა შეხვედრისას დადგენილ იქნა, რომ 21 ნოემბერს „დინამოს“ გუნდის წინააღმდეგ გამოდის კლუბი „არსენალი“, რომლის მოთამაშეთა შემადგენლობაც ეცნობა „დინამოს“ გუნდის წარმომადგენელს.

2) ინგლისური გუნდის შემადგენლობა, რომელიც ინგლისურ გაზეთებში გამოქვეყნდა, მკვეთრად განსხვავდება „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშეთა იმ სიისაგან, რომელიც საბჭოთა წარმომადგენლებს წინათ გააცნეს.

გაზეთებში გამოქვეყნებული შემადგენლობა ინგლისური გუნდისა არ ეცნობებიათ საბჭოთა სპორტული დელეგაციის წარმომადგენლებისათვის.

ვიღებთ რა მხედველობაში ინგლისური გუნდის გამოქვეყნებულ შემადგენლობას, ვფიქრობთ, რომ „დინამოს“ გუნდი ხვალ შეხვდება ინგლისის ერთ-ერთ ნაკრებ გუნდს. „დინამოს“ კაპიტანი სემიჩასნი“.

## საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკი პ. გ. ჩანჩიბაძე თბილისში

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი, გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკი, თოთხმეტი ორდენისა და მედალის კავალერი **პორფილე გიორგის-ძე ჩანჩიბაძე.**

სტალინური წრთობის მხედართმთავარი, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი პორფილე გიორგის-ძე ჩანჩიბაძე ფართოდ არის ცნობილი, როგორც კალინინის, სევასტოპოლის, ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის ბრძოლების გმირი.

გენერალ-პოლკოვნიკმა პ. ჩანჩიბაძემ აღმოსავლეთ პრუსიაში ბრძოლების შესახებ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ჩემი ჯარები აღმოსავლეთ პრუსიისათვის ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ შეტევის დაწყების პირველი დღიდან ოპერაციების დამთავრებამდე. ბრძოლები პრუსიაში განსაკუთრებული სიმძაფრით ხასიათდებოდა, მაგრამ ყველაზე უფრო მკაცრი და შეუპოვარი ბრძოლები გაიმართა ქალაქ კენიგსბერგის მისადგომებზე და ზემლანდის ნახევარკუნძულზე. ამ ორ რაიონში გერმანელთა თავდაცვა მეტად ძლიერი იყო. ჩვენი ჯარების უმაგალითო შემართებამ გაანადგურა გერმანელთა თავდაცვა, ზედიზედ ეცემოდნენ აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქები.

ამ ბრძოლებში ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით იჩინა თავი სტალინური სამხედრო მეცნიერების უპირატესობამ, საბჭოთა საომარი ტექნიკის ყოვლისშემმუსვრელმა ძალამ.

აღმოსავლეთ პრუსიისათვის ბრძოლები დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

გენერალ-პოლკოვნიკი **პ. გ. ჩანჩიბაძე** ამ დღეებში გაემგზავრება ქალაქ მახარაძეში. მთელი სამამულო ომის განმავლობაში მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის თანამემამულეებთან, მახარაძის რაიონის მშრომელებთან, რომელთაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზურგში გმირული შრომით დააჩქარეს ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვება.

## საოლქო და რესპუბლიკური პროკურატურების საერთო მეთვალყურეობის განყოფილებათა უფროსების თათბირი

21 ნოემბერს სსრ კავშირის პროკურატურაში გაიხსნა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პროკურატურათა საერთო მეთვალყურეობის განყოფილებათა უფროსების თათბირი. სსრ კავშირის პროკურორმა იუსტიციის ნამდვილმა სახელმწიფო მრჩეველმა ამხ. კ. პ. გორშენინმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ თათბირი მოწოდებულია დასახოს ჩვენს ქვეყანაში კანონების ზუსტი შესრულებისადმი მეთვალყურეობის გაძლიერების გზები. საერთო მეთვალყურეობამ პროკურატურის მუშაობაში ჯეროვანი ადგილი უნდა დაიკავოს. ადგილობრივი პროკურორები ყოველთვის და ყველგან უნდა ცდილობდნენ მიაღწიონ არა მარტო კანონის გამოვლინებული დარღვევის ლიკვიდაციას, არამედ თანამდებობის თვითეული პირის, სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის შეგნებაში კანონის ზუსტად შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვასაც. საბჭოთა კავშირში არავის არა აქვს ნება დაარღვიოს კანონები, შელახოს მოქალაქეთა უფლებანი, უკანონო მოქმედებით ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს—კანონი ყველასათვის კანონია.

პროკურატურის საერთო მეთვალყურეობის განყოფილებებს უწინარეს ყოვლისა დაეკისრათ მოვალეობა თვალყური ადევნონ კანონების ზუსტად შესრულებას, არ დაუშვან მათი დარღვევა, მიუხედავად იმისა, თუ რით არის გამოწვეული ეს დარღვევა — ბოროტი განზრახვით, კანონის უცოდინარობით თუ მისი არასწორი განმარტებით.

თათბირი სამ დღეს გასტანს. (საქ-დესი).

## ლ. ნ. ტოლსტოის მუზეუმის სამეცნიერო სესია

20 ნოემბერს ლ. ნ. ტოლსტოის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი რუსი მწერლის გარდაცვალების 35 წლისთავისადმი. სესიას დაესწრო დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, მასში მონაწილეობას იღებენ მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები და სტუდენტები.

მოხსენება „ლენინი და ტოლსტოი“ გააკეთა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ბ. ს. მეილახმა.

სესიამ დიდი ინტერესით მოისმინა პროფესორ ნ. ნ. გუსევის მოხსენება „რუსი ხალხი ტოლსტოის შემოქმედებაში“. გენიალური მხატვარი და მგზნებარე პატრიოტი, ჰუმანისტი და რუსი ხალხის დიდების მეხოტბე, — ამბობს პროფესორი გუსევი, — ასეთია ტოლსტოი თავის ნაწარმოებებში, რომლებმაც მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მწერლის წიგნები მოიცავენ ხალხის ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენებს. ტოლსტოი რუს ადამიანს აკვირდებოდა ყოფაცხოვრებაში, შრომასა და ომში. მან თავის წიგნებში აღბეჭდა უკვდავი სახეები რუსი გლეხების, ჯარისკაცების, ოფიცრებისა და მხედართმთავრებისა, რომლებიც ჩვენი ხალხის საუკეთესო თვისებებს განასახიერებენ (საქ-დესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანდიდატების წამოყენება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში

### გულრიფში

წებელდის კოლმეურნეობა „ოდიშის“ წევრთა კრებამ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 102 სასოფლო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში ერთხმად წამოაყენა ამხ. **მანუშა იაკობის-ასულ ახალაძის** კანდიდატურა. გულრიფშის რაიონის მერხეულას კოლმეურნეობის წევრებმა კავშირის საბჭოს არჩევნების სოხუმის № 558 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელეს სტახანოველი კოლმეურნის **მარიამ დავითის-ასულ თოლორაიას** კანდიდატურა. ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 102 სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენეს მეურნეობის დირექტორი ამხ. **ლევან ნესტორის-ძე ზოდელავა**.

### ამბროლაური

საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მიერ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ამბროლაურის № 111 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულია რაიკომის პირველი მდივნის ამხ. **აპოლონ ალექსანდრეს-ძე ჭიჭინაძის** კანდიდატურა.

სოფელ წესის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენა მოწინავე კოლმეურნე **ფიდოსი დავითის-ასული მაისაშვილი**.

ამბროლაურის № 111 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატებად წამოყენებული არიან აგრეთვე სოფელ ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **შალვა იასონის-ძე ტყეშელაშვილი**, მასწავლებელი **ელენე ალექსანდრეს-ასული ხიდურელი** და ექიმი **ელენე ნიკოლოზის-ასული ჩარკვიანი**.

### ჩოხატაური

ჩოხატაურის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჩოხატაურის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულია საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **შოთა ილარიონის-ძე ჭანუყვაძე**.

### კასპი

შესდგა ცემენტისა და ფიქალის ქარხნების მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის № 557 საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატების წამოყენებას. კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ქველაძემ. კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის № 557 საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულ იქნა ამხ. ვასილ სოლომონის-ძე მამულაშვილის და ამხ. ივანე ლუკას-ძე გუდიაშვილის კანდიდატურები.

კრებაზე ამხანაგებმა ი. გოზალოვმა, ს. ნონიაშვილმა, ბ. ვასილევმა და ი. რიკმანმა მხარი დაუჭირეს ამ კანდიდატებს. მათ ილაპარაკეს ამხ. ვასილ მამულაშვილის საწარმოო მიღწევებზე, რისთვისაც იგი მრავალჯერ იქნა აღნიშნული, როგორც საუკეთესო ხელოსანი. მის თავდადებულ მუშაობას მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა და დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით. ამხ. ივანე ლუკას-ძე გუდიაშვილი — ქარხნის პარტბიუროს მდივანი, საუკეთესო მუშაკია. იგი კომუნისტებს და უპარტიო მუშებს რაზმავს ახალ-ახალი წარმატებისათვის.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება **ვასილ სოლომონის-ძე მამულაშვილის და ივანე ლუკას-ძე გუდიაშვილის** კავშირის საბჭოს თბილისის № 557 საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენების შესახებ.

სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კასპის რაიონის ადგილკომის კრებამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის № 116 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების კასპის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **აბრამ ალექსანდრეს-ძე გორჯოლაძე**.

კასპის კოლმეურნეობის—„ძმობის“ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ნ. დალაქიშვილმა წინადადება შეიტანა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის № 116 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოყენებულ იქნას კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგის ამხ. სოფიო გიორგის-ასულ დალაქიშვილის კანდიდატურა.

ამხ. სოფიო დალაქიშვილი საუკეთესო კოლმეურნეა. იგი პირნათლად ასრულებს ფერმის გამგის მოვალეობას. მისი უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად ფერმამ შეასრულა საქონლის სულადობის 1945 წლის სახელმწიფო გეგმა. ამხ. დალაქიშვილი საზოგადოებრივ მუშაობაშიც აქტიურია. იგი არის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი. კრებამ დაადგინა: წამოყენებულ იქნას ამხ. **სოფიო გიორგის-ასულ დალაქიშვილის** კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის № 116 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

შესდგა კასპის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, რომელიც მიეძღვნა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის № 116 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენების საკითხს.

მტს-ის უფროსმა მექანიკოსმა ამხ. გ. ლობჟანიძემ კანდიდატად დაასახელა კასპის მტს-ის დირექტორი ამხ. ვლადიმერ იოსების-ძე გეჯაძე.

კრებამ ერთხმად დაადგინა: ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის № 116 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას ამხ. **ვლადიმერ იოსების-ძე გეჯაძის** კანდიდატურა.

# კანდიდატების წამოყენება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის წამოყენების საკითხი. სტალინირის ვაჟთა ქართული საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. ვ. კასრაძემ წინადადება შეიტანა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულ იქნას დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნინო ნიკოლოზის-ასულ ჯიოევას კანდიდატურა.

ამხ. ჯიოევა მრავალი წელია, რაც პედაგოგია. იგი მთელ თავის ცოდნას და ენერგიას ახმარს საბჭოთა ახალგაზრდობის ბოლშევიკური სულისკვეთებით აღზრდას. სათანადო ავტორიტეტით სარგებლობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სამხრეთ-ოსეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნას ამხ. **ნინო ნიკოლოზის-ასულ ჯიოევას** კანდიდატურა.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კომუნისტური ორგანიზაციისაგან საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად წამოაყენა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **ვიქტორ ზაქარიას-ძე ალბოროვი**.

სამხრეთ-ოსეთის თავდაცვა-ავიაქიმის საოლქო საბჭომ წამოაყენა **გაბრიელ მათეს-ძე თიბილოვის** კანდიდატურა. უმაღლესი სკოლების და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირის სახელით წამოყენებულია სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორ **ზაქარია ნიკოლოზის-ძე ვანეევის** კანდიდატურა.

ზნაურის რაიონის სოფელ ნულის კოლმეურნეთა საერთო კრებამ ერთხმად წამოაყენა კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ორდენოსან **ვასილ პავლეს-ძე პეტრიაშვილის** კანდიდატურა.

მედსანშრომის მუშაკთა პროფესიული კავშირის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა კანდიდატად წამოაყენა ლენინგორის რაიონის ტროპიკული სადგურის გამგის ექიმ **ნატალია ივანეს-ასულ ქეტიშვილის** კანდიდატურა.

სტალინირის რაიონის ქსუისის მტს-ის მთელი კოლექტივის სახელით კანდიდატად წამოყენებულ იქნა მტს-ის ინჟინერი **ზურაბ იოსების-ძე ოქროპირიძე**.

სტალინირის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეთა საერთო კრებამ კანდიდატად წამოაყენა კოლმეურნე სტახანოველი ქალი **ელენე ივანეს-ასული მამიტოვა**.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების სახელით კანდიდატად წამოყენებულ იქნა საქართველოს ალკკ სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **სერგო გრიგოლის-ძე კოტაევი**.

## პარტიული ცხოვრება

### აგიტატორთა შერჩევას მეტი ყურადღება

**ამბროლაური**, („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). მთელი რიგი ღონისძიებანი გატარდა საარჩევნო კანონის შესწავლისათვის. შეიქმნა 42 აგიტპუნქტი. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარზე განხილულ იქნა არჩევნებისათვის მზადების საკითხი. პარტიულ კაბინეტში აგიტატორთა დასახმარებლად მოეწყო 5 ლექცია. სისტემატურად ტარდება კონსულტაციები. რაიონის ბევრ სასოფლო საბჭოში არჩევნების დებულების პროპაგანდის საქმე კარგად არის დაყენებული.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზოგან საარჩევნო კანონის შესწავლას ზერელედ ეკიდებიან. მოუმზადებლად მიდის კოლმეურნეებთან ხიდიკრელი აგიტატორი პ. ნიკოლაიშვილი. იგი თვითონ ვერ ერკვევა სტალინური კონსტიტუციის საკითხებში. მას დღემდე საფუძვლიანად არ შეუსწავლია საარჩევნო კანონი. ხიდიკარის კოლმეურნეობაში არც ერთმა აგიტატორმა არ იცის, თუ რამდენი ახალგაზრდა ამომრჩეველია მის უბანში. კოლმეურნეობაში არის აგიტპუნქტი, მაგრამ იგი ნაკლებად ეხმარება აგიტატორებს. პუნქტში შემოღებული არ არის მორიგეობა, არ არის მოწყობილი საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

საარჩევნო აგიტაციის გაშლისათვის ნაკლებად ზრუნავს აღნიშნულ კოლმეურნეობასთან არსებული პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ბენდიანიშვილი). მხოლოდ ერთ პარტიულ კრებაზე მოისმინეს დებულების შესწავლის მიმდინარეობის საკითხი და მაშინაც ზოგადი დადგენილება მიიღეს. ამ დადგენილებით დავალება მიეცათ აგიტკოლექტივის ხელმძღვანელს, პარტორგს და საბჭოს თავმჯდომარეს იზრუნონ საარჩევნო დებულების შესწავლის მოსაწყობად. მაგრამ ამ კეთილ სურვილებს არავითარი ნაყოფი არ გამოუღიათ. პარტიული ორგანიზაციის მდივანს დადგენილების შესრულების შემოწმება არც კი მოჰგონებია. ამიტომაა, რომ აქ არ აქვთ საარჩევნო ლიტერატურა, არ არის გამონახული ბინა წრეების მეცადინეობისათვის.

უკეთესი მდგომარეობა არც ხიმშის კოლმეურნეობაშია. აქაც ხშირად იშლება წრეების მეცადინეობა უბინაობის გამო. პირველ ბრიგადაში 32 ამომრჩევლიდან საუბრებს მხოლოდ 10-15 მსმენელი ესწრება. წვრილშვილი ქალები და მოხუცები დებულების შესწავლის გარეშე არიან დარჩენილი. აგიტატორმა ბ. ჭიჭინაძემ ასე განაცხადა—სანამ სიმინდის მოსავლის აღება არ დამთავრდება, მეცადინეობას ვერ ჩავატარებო. მესამე ბრიგადის აგიტატორს ამხ. ნ. ბარსონიძეს დღემდე თვითონაც არ წაუკითხავს დებულების არც ერთი თავი.

სოფელ წესის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადაში საარჩევნო კანონის განმარტება მინდობილი აქვს ამხ. მ. ლაშხს, რომელსაც თვითონ სჭირდება დახმარება დებულების შესწავლაში.

საჭიროა ბოლო მოეღოთ საარჩევნო დებულების შესწავლისადმი ზერელე-ფორმალურ დამოკიდებულებას. საარჩევნო კანონის პროპაგანდა პოლიტიკურად მომზადებულ ადამიანებს უნდა მიეანდოთ.

**ვ. ვაჩაძე**

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის კანდიდატი სოფიო ქსოვრელი (მარცხნივ) ესაუბრება ახალგაზრდა ამომრჩევლებს ელ. გოგილაშვილს, ვ. ჯანჯღალაშვილს, ა. გაბაძეს, გ. ზაქარაძაშვილს და გ. მამუკაშვილს.
ფოტო რ. აკოფოვისა

### პარტორგანიზაციის ინიციატივით

უკანასკნელ წლებში ყვიბისის (ბორჯომის რაიონი) კოლმეურნეობის მეფუტკრეობის ფერმა თითქმის განადგურდა. ფერმის შენახვისათვის კოლმეურნეობა დიდძალ შრომადღეს ხარჯავდა, შემოსავალი კი სრულებით არ იყო. მეტიც, დაუძლურებული ფუტკრის გამოსაკვებად ბაზარზე იძენდნენ შაქარს. დიდხანს გრძელდებოდა ასე.

მიმდინარე წლის ივნისში კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ო. როგავა) შეისწავლა მეფუტკრეობის ფერმაში შექმნილი მდგომარეობა. პარტიულ კრებაზე მოისმინეს მეფუტკრე სერგო თაბურიძის მოხსენება, რომელმაც ილაპარაკა გაწეული მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ ფერმა შეუფერებელ ადგილას არის მოთავსებული.

კრებამ რჩევა მისცა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას მეფუტკრეობის ფერმა სხვა უბანში გადაეტანათ, სადაც გაცილებით უკეთესი პირობები იყო ფუტკრისათვის. ეს ღონისძიება განხორციელებულ იქნა. ამის შემდეგ ფერმის მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა.

ამავე კოლმეურნეობაში წითელი ჯვრის ორგანიზაცია სუსტად მუშაობდა. პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ეს საკითხი. პარტიულ კრებაზე მოისმინეს კომუნისტების დ. თაბუნიძისა და ქ. ლექაძის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახეს ღონისძიებანი, რომლებიც განახორციელეს კიდევაც.

ახლა წითელი ჯვრის ორგანიზაცია კოლმეურნეობაში სისტემატურად აწყობს ლექცია-მოხსენებებს ჯანმრთელობის საკითხებზე. კოლმეურნეებიც დაინტერესდნენ წითელი ჯვრის ორგანიზაციის მუშაობით და მისი აქტიური წევრები გახდნენ.

ყვიბისის კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ სუსტია შრომის დისციპლინა ბრიგადებში, რის შედეგადაც ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გააფართოოს თავისი მუშაობის ასპარეზი, ყველა უბანს მისწვდეს, შემჩნეულ ნაკლს, დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს და დარაზმოს კომუნისტები, კოლმეურნეები საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

**ვ. გელაშვილი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

### საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მორიგმა პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1. ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციებში საშემოდგომო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, 2. საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში.

საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სიხარულიძემ, რომელიც მოხსენებით გამოვიდა პირველ საკითხზე, აღნიშნა, რომ ციტრუსების გამოზამთრებისათვის მუშაობა სუსტად მიმდინარეობს სილაურის, ნაღობილევის, ხვარბეთის, თხინვალის, ძიმითის, შემოქმედის და ნიაბაურის კოლმეურნეობებში. ჩამორჩენაა აგრეთვე ჩაის პლანტაციების შებარვისა და სიდერანტების თესვის საქმეშიც.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ესაძემ. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, თუ როგორ მიმდინარეობს სტალინური კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა, გამოამჟღავნეს ნაკლოვანებანი და შეიტანეს წინადადებები მათი გამოსწორებისათვის.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა დასახა ღონისძიებანი.

განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი. საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი კადრების დარგში ამხ. პ. კვაჭანტირაძე პლენუმმა მოხსნა სამუშაოდან და გამოიყვანა რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან. რაიკომის მდივნად კადრების დარგში პლენუმმა დაამტკიცა ამხ. დ. გობრონიძე და შეიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობაში.

# საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი გამარჯვებანი

დაუშრეტელია საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალები. სოციალისტურმა წყობილებამ ჩვენი ადამიანების წინაშე გადაშალა კულტურული ზრდის, განვითარების, თავიანთი ნიჭისა და ტალანტის გამოყენების უსაზღვრო შესაძლებლობანი. კომუნისტური პარტია ბეჯითად და მეთოდურად უნერგავდა და უნერგავს საბჭოთა ხალხს მაღალ ადამიანურ თვისებებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ჩვენი სახელმწიფოს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ეკონომიკის უსწრაფეს პროგრესს. საბჭოთა ადამიანებმა, რომელთაც აღაფრთოვანებს და წარმართავს ლენინ-სტალინის პარტია, ჩვენი ქვეყანა გადააქციეს მძლავრ სახელმწიფოდ, მიაღწიეს მრეწველობის განვითარების მაღალ დონეს, ააგეს გიგანტური ელექტროსადგურები, ახალი სამრეწველო ქალაქები, შეისწავლეს, აითვისეს და სამშობლოს სამსახურში დააყენეს ათობით და ასობით უმდიდრესი რაიონი.

ადამიანის მოღვაწეობის ყოველ დარგში — მრეწველობაში, მეცნიერებაში, კულტურაში, სოფლის მეურნეობაში — ჩვენი ადამიანები შესანიშნავ წარმატებებს აღწევდნენ. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საბჭოთა ქვეყანა დევ-გმირული ნაბიჯებით მიდიოდა წინ სამეურნეო და კულტურული აყვავებისაკენ. სოციალისტური სამშობლო აღაფრთოვანებდა საბჭოთა ადამიანებს შრომითი გმირობისათვის და საბჭოთა ადამიანები ყოველივეს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მათი სამშობლო ყოფილიყო უფრო მდიდარი, ძლიერი და მშვენიერი. ჩვენმა ყინულმჭრელებმა გაჰკაფეს ჩრდილოეთის საზღვაო გზა. საბჭოთა თვითმფრინავები ახდენდნენ ტრანსარქტიკულ გადაფრენებს. ჩვენი სტრატოსტატები ამაღლებდნენ მსოფლიოს ჭერს. მფრინავები ამყარებდნენ ათობით მსოფლიო და საერთაშორისო რეკორდს. საბჭოთა მეცნიერების ხელით მსოფლიო მეცნიერებამ მიიღო ამომწურავი ცნობები ცენტრალურ პოლარულ აუზში წარმოებული პროცესების შესახებ.

იქუხა ომმა. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში საბჭოთა ადამიანებმა განსაკუთრებული ძალით გამოიჩინეს შესანიშნავი თვისებანი, რომლებიც მათ ბოლშევიკურმა პარტიამ ჩაუნერგა. დიდი ლენინი ამბობდა, რომ საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს მამაცობა. გულადობა, უშიშარობა ბრძოლაში, მზადყოფნა უშიშრად ებრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრებს. სამშობლოს დაცვის იდეამ წითელ არმიაში წარმოშვა ათასობით ათასი გმირი, რომლებმაც გულადობის, მამაცობისა და უნარიანობის მაგალითი გვიჩვენეს საძულველ მტერთან ბრძოლებში. გმირობა მასობრივი მოვლენა გახდა წითელ არმიაში. საბჭოთა ხალხი ტყუილად როდი უწოდებს სიყვარულით თავის არმიას გმირ არმიას. ხალხის ნება-სურვილს, ბოლშევიკური პარტიის ნება-სურვილს, დიდი სტალინის ნება-სურვილსა და სიბრძნეს მიჰყავდათ საბჭოთა ადამიანები გამარჯვებებისაკენ.

სამშობლოს სიყვარულით აღფრთოვანებულმა საბჭოთა კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში საუკეთესო ავიაგამანადგურებლები, უბადლო მოიერიშეები, ბომბდამშენები, მძლავრი ქვემეხები, გვარდიის ნაღმსატყორცნები, თავიანთი თვისებებით დიდებული ტანკები, მძლავრი თვითმავალი ზარბაზნები, სწრაფმავალი წყალქვეშა ნავები. ბრძოლის ველზე მკაცრ გამოცდაში ჩვენი სამხედრო ტექნიკა გერმანულ ტექნიკაზე უკეთესი აღმოჩნდა. საბჭოთა კონსტრუქტორების შემოქმედებითმა აზრმა, საბჭოთა ინდუსტრიის მშრომელების შემოქმედებითმა ღონისძიებებმა აქაც გაიმარჯვეს.

ბრძოლები დამთავრდა. ჩვენი ქვეყანა შევიდა მშვიდობიანი განვითარების პერიოდში. საბჭოთა მთავრობა, ლენინ-სტალინის პარტია გიგანტურ ღონისძიებებს ხმარობენ იმისათვის, რომ მალე უყონ ლიკვიდაცია ომის შედეგებს და უზრუნველჰყონ ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლა. მშვიდობიანი ცხოვრების პირველი დღეებიდანვე ჩვენი ხალხი გამსჭვალულია შემოქმედების პათოსით, შემოქმედებისა, რომელიც მტრის ვერაგულმა შემოჭრამ შეაწყვეტინა. გერმანელ ოკუპანტთაგან დანგრეულ რაიონებში გაჩაღებულია გრანდიოზული შრომა საწარმოთა, კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებათა, კომუნალურ შენობათა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღსადგენად. შეიძლება გავიხსენოთ, რომ უკრაინის 95 უდიდესი მანქანათმშენებელი ქარხნიდან, რომლებიც გერმანელებმა დაანგრიეს, 93 ქარხანამ უკვე დაიწყო ძირითადი პროდუქციის გამოშვება; მარტო შარშან აღდგენილ იქნა ჰიტლერელების მიერ დანგრეული და გაძარცული ორასამდე უმაღლესი სასწავლებელი.

ჩვენი სამართლიანი საქმის სრულმა გამარჯვებამ ახალი შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქსა და სოფელში. მწყობრში დგებიან ახალი ქარხნები, საამქროები, შახტები. დიდი მშენებლობაა გაჩაღებული მთელს ჩვენს ქვეყანაში. მაგნიტოგორსკში შენდება მარტენები და მადნის გამაუხვებელი ფაბრიკები, ასტრახანში შენდება სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, მარიუპოლის ქარხანაში ეწყობა მძლავრი საგლინავი საამქრო, შენდება სატრაქტორო ქარხანა ლიპეცკში, საავტომობილო ქარხნები—ულიანოვსკში, დნეპროპეტროვსკსა და ქუთაისში და ბევრი, ბევრი სხვა რამ.

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი მუშაობა მთელი თავისი მრავალმხრიობით გაჩაღდა. სოციალისტური წყობილება, საბჭოთა ხელისუფლება ყველა ხალხისათვის უზრუნველჰყოფს მათი სულიერი ძალების სრულ გამოვლინებას. „იმაში, რომ საბჭოებმა უზრუნველჰყვეს ყველა ხალხისათვის ნაციონალური კულტურის განუხრელი აღმავლობა, ნაციონალური ტალანტების აღზრდისათვის აქტიური ზრუნვა და თანასწორუფლებიან საბჭოთა ხალხებს შორის მზარდი მეგობრობა და ძმური ურთიერთ დახმარება, რაც ძველ რუსეთში არ ყოფილა და ჯერ კიდევ არ არის სხვა ქვეყნებში არც მონარქიის რეჟიმების დროს, არც რესპუბლიკის რეჟიმების დროს,—ამაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა დემოკრატიის ყოვლისმძლე ძალას, მის უდიდეს მნიშვნელობას ხალხთა ნამდვილი პროგრესული განვითარებისათვის“. (ვ. მ. მოლოტოვი).

საბჭოთა ადამიანების ამ პროგრესს, ამ გამარჯვებებს ჩვენ ყოველ დღე ვხედავთ სოციალისტური სახელმწიფოს ცხოვრების, ყოველ დარგში, დიდსა და მცირე დარგში—ზემძლავრი ჰიდროკვანძების დაპროექტებიდან ჩუკოტის ნახევარკუნძულის იარანგებში მოძრავი ბიბლიოთეკების მოწყობამდე. ყოველ დღეს მოაქვს ცნობები საბჭოთა ადამიანების სახელოვანი საქმეების შესახებ, მათი გამარჯვებების შესახებ, რომლებიც ერთდღეიან მთლიან კალაპოტში, აძლიერებენ ჩვენს სოციალისტურ წყობილებას, წინ მიჰყავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქმე, დიდებულს ხდიან ჩვენს საბჭოთა სამშობლოს.

ცოცხალი და ფართო გონება, მიზნის სიცხადე, შემოქმედებითი შემართება, ხასიათის სიმტკიცე, მზადყოფნა მთელი ძალები მოახმარონ სამშობლოს კეთილდღეობას — აი თვისებანი, რომელთაც ეფექტიანად იჩენენ საბჭოთა ადამიანები მათი მოღვაწეობის ყველა სარბიელზე. სწორედ ამიტომ მიაღწიეს მშენებელთა პრაქტიკაში უმაგალითო შრომის ნაყოფიერებას სახელგანთქმულმა კალატოზებმა ანდრია კულიკოვმა, ივანე რახმანინმა, სიმონ მაქსიმენკომ. ვლადივოსტოკელმა მტვირთავებმა საოკეანო გემი თექვსმეტჯერ უფრო მალე გადმოტვირთეს, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. კოლმეურნე კაპიტოლინა შორინამ 111 ტონა კარტოფილი მიიღო ჰექტარზე, ხოლო კომბაინერმა მიხეილ მაკეევმა სეზონში პური აიღო 2.758 ჰექტარზე. ამ ნოვატორებმა გაბედულად და აზრიანად დაამსხვრიეს არსებული ნორმები, როგორც მოძველებულნი, და შემოიღეს ახალი ნორმები, რომლებიც შეეფერებიან ნამდვილი მეცნიერებისა და ტექნიკის მოთხოვნებს.

მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, საბჭოთა მთავრობა ომიანობის წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჩვენს ქვეყანაში კულტურულ მშენებლობას. ამ მუშაობამ განსაკუთრებული გაქანება ჰპოვა მშვიდობიან პერიოდში. ამ დღეებში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სანქცია მისცა ორი აკადემიის—ყაზახეთისა და ლატვიის აკადემიების გახსნას. სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობა შეივსო 39 აკადემიკოსით და 44 წევრ-კორესპონდენტით.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმის მიერ შებოჭილი ძალები ჩვენი ქვეყნის ხალხებისა. საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ძალები ამჟამად უმაგალითო ენერგიით ვითარდებიან და გასაოცარ შედეგებს იძლევიან. 1938 წელს კრემლში მიღების დროს ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა ნიჭიერ, გაბედულ და უნარიან საბჭოთა ადამიანებზე და წარმოსთქვა სადღეგრძელო „იმ ადამიანებისა, რომლებსაც სურთ იცხოვრონ და იბრძოლონ, იბრძოლონ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, იცხოვრონ და ანადგურონ მტრები, იცხოვრონ, რათა გაიმარჯვონ!“ ჩვენს წინაშე დგანან უდიდესი ამოცანები, მტერმა ხელი შეუშალა ჩვენს მშვიდობიან შემოქმედებით მუშაობას, დაანგრია ის, რასაც ათეული წლების განმავლობაში ვქმნიდით. მაგრამ ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანები, რომელთაც მიუძღვის დიდი სტალინი, აანაზღაურებენ ყოველივეს, როგორც საჭიროა, მიაღწევენ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ჰყვაოდეს, განუწყვეტლივ ელიან წინ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში!

„პრავდის“ 22/XI მოწინავე

# მოვემზადოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

საბჭოთა ხალხი, რომელმაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში გმირულად დაიცვა თავისი სამშობლო, აღფრთოვანებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. გამარჯვება, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხმა მოიპოვა, არის გამარჯვება საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიისა, გამარჯვება სტალინური კონსტიტუციისა.

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს არჩევნები დანიშნულია 1946 წლის 10 თებერვლისათვის. სსრ კავშირის კონსტიტუციის 34 და 35 მუხლებისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 24, 25, 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 16 ოქტომბრის ბრძანებულებით უკვე შექმნილია კავშირის საბჭოს არჩევნების 656 საარჩევნო ოლქი და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 631 საარჩევნო ოლქი. თვითეული საარჩევნო ოლქიდან აირჩევა ერთი დეპუტატი.

კავშირის საბჭოს არჩევნებისათვის ოლქები შედგენილია შემდეგი ნორმით: ოლქზე—300 ათასი მცხოვრები. ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები სდგება შემდეგი წესით: 25 საარჩევნო ოლქი თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკაში, 11 საარჩევნო ოლქი თვითეულ ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5 საარჩევნო ოლქი თვითეულ ავტონომიურ ოლქში და ერთი საარჩევნო ოლქი თვითეულ ეროვნულ ოკრუგში.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის ოლქების ასეთი ორგანიზაცია წარმოადგენს საუკეთესო გამოხატულებას ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა, რომელიც უზრუნველჰყოფს სსრ კავშირის ხალხთა სრულ თანასწორუფლებიანობას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში შექმნილია კავშირის საბჭოს არჩევნების 12 საარჩევნო ოლქი და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 25 საარჩევნო ოლქი. გარდა ამისა, შექმნილია ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები საქართველოს სს რესპუბლიკაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—11 საარჩევნო ოლქი, აჭარის ასს რესპუბლიკაში—11 საარჩევნო ოლქი, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—5 საარჩევნო ოლქი.

ამრიგად, საქართველოს სს რესპუბლიკის მოქალაქენი, ავტონომიურ რესპუბლიკებთან და ავტონომიურ ოლქთან ერთად, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 64 დეპუტატს აირჩევენ, აქედან 12 დეპუტატს—კავშირის საბჭოში და 52 დეპუტატს — ეროვნებათა საბჭოში.

თვითეული საარჩევნო ოლქის ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად —საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად („დებულება“, მუხლი 27). საარჩევნო უბნების შექმნა ხდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა.

ქალაქებში, სამრეწველო პუნქტებში, აგრეთვე სოფლებში და იმ სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, რომლებშიც 2.000-ზე მეტი მცხოვრები ითვლება, საარჩევნო უბნები იქმნება შემდეგი ანგარიშით: ერთი საარჩევნო უბანი 1.500-3.000 მცხოვრებზე იმ სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომელიც ითვლის არა უმეტეს 2.000 მცხოვრებისა, შეადგენს, როგორც წესი, ერთ საარჩევნო უბანს; ხოლო თუ სოფლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან სოფლები 500 და მეტი მცხოვრებით, მაგრამ არა უმეტეს 2.000-სა, იქმნება ცალკე საარჩევნო უბანი, სოფლებში ან სოფელთა ჯგუფში, რომლებშიც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არანაკლებ 300-სა, იმ შემთხვევაში, როცა მანძილი ასეთი სოფლებიდან საარჩევნო უბნის ცენტრამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბნები.

ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის შორეულ რაიონებში, სადაც წვრილი დასახლებული ადგილები სჭარბობენ, დაიშვება მოწყობა საარჩევნო უბნებისა არანაკლებ 100 მცხოვრების რაოდენობით.

ჩრდილოეთის ნაციონალურ ოკრუგებში, აგრეთვე მთისა და მომთაბარეობის რაიონებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არანაკლებ 50-სა.

სამხედრო ნაწილები და ჯარის შენაერთები შეადგენენ ცალკე საარჩევნო უბნებს არანაკლებ 50 და არა უმეტეს, ვიდრე 3.000 ამომრჩეველით, რომლებიც შედიან საარჩევნო ოლქში ნაწილის ან ჯარის შენაერთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

იმ გემებზე, რომლებზეც ამომრჩეველთა რაოდენობა 25-ზე ნაკლები არ არის და რომლებიც არჩევნების დროს გზაში იმყოფებიან, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბნები, რომლებიც შევლენ საარჩევნო ოლქებში გემის მიწერის ადგილის მიხედვით.

გარდა ამისა, ცალკე საარჩევნო უბნები უნდა შეიქმნას საავადმყოფოებთან, სამშობიარო სახლებთან, სანატორიუმებთან, ინვალიდთა სახლებთან, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ზე ნაკლები არ არის.

შორეული მიმოსვლის სამგზავრო მატარებლებში, რომლებიც არჩევნების დღეს გზაში იმყოფებიან, იქმნება საარჩევნო უბნები იმ ამომრჩეველთაგან ბიულეტენების მისაღებად, რომლებსაც „ხმის მიცემის უფლების მოწმობები“ აქვთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად სდგება:

1) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2) ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიები თვითეულ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში და ავტონომიურ ოლქში.

3) კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები თვითეულ საარჩევნო ოლქში.

4) ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თვითეულ ოლქში.

5) საუბნო საარჩევნო კომისიები, რომლებიც საერთოა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის.

კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და 8 წევრი. მათ ამტკიცებენ: რესპუბლიკებში, რომელთაც სამხარეო ან საოლქო დაყოფა აქვთ — მშრომელთა დეპუტატების სამხარეო ან საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო ან სამხარეო დაყოფა არა აქვთ, რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები არა უგვიანეს 50 დღისა არჩევნებამდე.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები სდგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 8 წევრის შემადგენლობით და მათ ამტკიცებენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და ავტონომიური ოლქებისა და ნაციონალური ოკრუგების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 50 დღისა არჩევნებამდე.

საოლქო საარჩევნო კომისია თავის საარჩევნო ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს იმას, რათა განუხრელად შესრულდეს „დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“; განიხილავს საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებათა შესახებ; თვალყურს ადევნებს საარჩევნო უბანთა დროულად მოწყობის საქმეს; თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების დროულად შედგენას და ყველასათვის მათ გაცნობას; ახდენს წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციას; ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით; აწარმოებს ხმების დათვლას და არკვევს არჩევნების შედეგებს; აძლევს არჩეულ დეპუტატს მოწმობას არჩევის შესახებ.

საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4-8 წევრის შემადგენლობით, ხოლო იმ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც 300 კაცზე ნაკლები მცხოვრები ითვლება, თავმჯდომარის, მდივნისა და 1-3 წევრის შემადგენლობით, და მათ ამტკიცებენ ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში—რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სასოფლო ადგილებში—რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 40 დღისა არჩევნებამდე.

საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში დაშვებულ შეცდომათა შესახებ და შეაქვს ისინი საბჭოს იმ აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად, რომელმაც სია გამოაქვეყნა;

ბ) აწარმოებს საარჩევნო ბიულეტენების მიღებას საარჩევნო უბანში;

გ) აწარმოებს ხმების დათვლას დეპუტატობის თვითეული კანდიდატის მიხედვით;

დ) არჩევნების საქმის წარმოებას გადასცემს შესაბამისად კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებს.

ჩვენი საარჩევნო კანონის თანახმად, ამომრჩეველთა სიაში შეიტანებიან ყველა მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საარჩევნო უფლება და რომლებიც სიების შედგენის მომენტში ცხოვრობენ მუდმივად ან დროებით მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე, თუ მათ არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ.

ამომრჩეველთაგან არავინ არ შეიძლება შეტანილ იქნას ერთზე მეტ საარჩევნო სიაში („დებულება“, მუხლი“ 13). სიებში არ შეიტანებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით, ანდა ცნობილი არიან შეშლილებად.

ამომრჩეველთა სიები ქვეყნდება საყოველთაო გასაცნობად არჩევნებამდე 30 დღით ადრე.

ამრიგად, ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა შეამოწმოს ამომრჩეველთა სიების შედგენის სისწორე.

განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ (სიაში გამორჩენა, სიიდან ამოშლა, გვარის, სახელის, მამის სახელის დამახინჯება, საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა არასწორად შეტანა სიაში) შეიტანება სათანადო მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს 3 დღის ვადისა განიხილოს ყოველი განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ და ან შეიტანოს სათანადო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში ან მისცეს განმცხადებელს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მოტივების შესახებ.

თუ განმცხადებელი არ ეთანხმება აღმასკომის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივარი შეიტანოს სახალხო სასამართლოში, რომელიც ვალდებულია სამი დღის განმავლობაში სასამართლოს ღია სხდომაზე განიხილოს საჩივარი და თავისი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობოს როგორც განმცხადებელს, ისე საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

არჩევნების დებულება აწესებს, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში კანდიდატების წამოყენების უფლება უზრუნველყოფილია ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის და მშრომელთა საზოგადოებებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის 141 მუხლის საფუძველზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ კანდიდატების წამოყენების უფლებით, არიან: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები, კოოპერატიული ორგანიზაციები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები და კულტურული საზოგადოებები.

კანდიდატების წამოყენების უფლება ჩვენი საარჩევნო კანონის თანახმად აქვთ არა მარტო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა საზოგადოებების ცენტრალურ ორგანოებს, არამედ მუშათა და მოსამსახურეთა კრებებსაც—საწარმოებში, სამხედრო მოსამსახურეებს — ჯარის ნაწილებში, აგრეთვე გლეხთა საერთო კრებებს,—კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებებს—საბჭოთა მეურნეობებში.

საარჩევნო კანონი, ანიჭებს რა დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების უფლებას საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა საზოგადოებების ცენტრალურ ორგანოებს, აგრეთვე მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, წითელარმიელთა საერთო კრებებს, ამით უზრუნველჰყოფს ნამდვილ სოციალისტურ დემოკრატიზმს.

თანახმად სტალინური კონსტიტუციის 141 მუხლისა და არჩევნების დებულებისა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს წამოაყენებენ საარჩევნო ოლქების მიხედვით. თვითეულ კანდიდატს შეიძლება კენჭი ეყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში. ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება საარჩევნო კომისიის შენობაში.

საარჩევნო შენობაში გამოიყოფა ცალკე ოთახი ბიულეტენების შესავსებად. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხმის მიცემის საიდუმლოება, ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში უნდა დაიდგას იმდენი ტიხრი ან შირმა, რამდენი ამომრჩეველიც დაშვებულ იქნება ერთდროულად.

ხმის მისაცემად თვითეული ამომრჩეველი უნდა გამოცხადდეს პირადად და წარმოადგინოს პირადობის დამამტკიცებელი რაიმე მოწმობა (პასპორტი, პროფკავშირის ბილეთი, საკოლმეურნეო წიგნაკი და სხვა). ამომრჩეველთა სიის მიხედვით შემოწმებისა და სიაში აღნიშვნის შემდეგ ამომრჩეველი ღებულობს საარჩევნო ბიულეტენს დაწესებული ნიმუშის მიხედვით. ბიულეტენის შევსების შემდეგ ამომრჩეველი შედის საუბნო საარჩევნო კომისიის ოთახში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისია იმყოფება, და საარჩევნო ბიულეტენებს ჩაუშვებს საარჩევნო ყუთში.

მოკავშირე რესპუბლიკებში თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს ორი ბიულეტენით—კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს და მოკავშირე რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში თვითეული მოქალაქე ხმას აძლევს სამი ბიულეტენით—კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, ერთ კანდიდატს მოკავშირე რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოში ასარჩევი 25 დეპუტატიდან, აგრეთვე ერთ კანდიდატს მოცემული ავტონომიური რესპუბლიკისაგან ან ავტონომიური ოლქისაგან ეროვნებათა საბჭოში ასარჩევი დეპუტატებიდან.

ამრიგად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამომრჩეველი ხმას აძლევს 3 ბიულეტენით, ხოლო საქართველოს დანარჩენ ადგილებში—2 ბიულეტენით.

ხმების დათვლას საუბნო და საოლქო კომისიები აწარმოებენ ცალ-ცალკე, კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მიხედვით. კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ე. ი. ყველა იმ ხმების ნახევარზე მეტი, რომლებიც მიცემულია ოლქში და ცნობილია ნამდვილად, არჩეულად ითვლება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე თანდათან ახლოვდება. საჭიროა სულ უფრო და უფრო ვაძლიერებდეთ საავიტაციო-მასობრივ მუშაობას. ბოლშევიკური აგიტაციით უნდა მოვიცვათ მოსახლეობის უკლებლივ ყველა ფენა. აუცილებელია თვითეულმა ამომრჩეველმა იცოდეს თავისი დიადი სოციალისტური უფლება-მოვალეობანი, ერკვეოდეს ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკაში, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავს ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

მსოფლიოში არსად უზრუნველყოფილი არ არის ხალხისათვის აგიტაციის ისეთი თავისუფლება, როგორიც ჩვენს ხალხს აქვს საბჭოთა კავშირში. მშრომელებს არსად არ მოეპოვებათ აგიტაციისათვის ისეთი მატერიალური საშუალებანი, როგორიც მათ ჩვენში აქვთ. პრესა, კინოთეატრები, რადიო, კლუბები—ყოველივე ეს სოციალისტურ სახელმწიფოს ეკუთვნის და მშრომელთა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განკარგულებაშია.

ჩვენმა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ყველა ეს საშუალებანი სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის პოპულარიზაციისათვის, მოამზადონ მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

ა. ძნელაძე

ომგადახდილი მეომრები (მარცხნიდან): ზემ დგუ ა. კაპანაძე, უფროსი სერჟანტი ა. ხითაროვი და მებრძოლი ი. ტაკიძე—თბილისის რკინიგზის სადგურზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

# კვლავ საქართველოში

მათ მრავალი წელი გაატარეს ბრძოლის ქარცეცხლში, არ უნახავთ საქართველო. დღეს ისინი თბილისში ჩამოვლენ.

დედაქალაქი სიხარულით ეგებება თავის შვილებს. თბილისის სადგური საზეიმოდ არის მორთული. მშრომელები მოსულან ყვავილებით, მუსიკით, რათა ღირსეულად შეხვდნენ ომგადახდილთ.

მატარებელი ჩამოდგა.

აი ვაგონიდან ჩამოდის საჩხერელი მიხეილ ბაგრატის-ძე ლომიძე. იგი ომის პირველი დღეებიდან ბრძოლაშია. იბრძოდა სტალინგრადთან, ლენინგრადის ფრონტზე, მინსკში, პრაღაში. მის ვაჟკაცურ მკერდს ამშვენებენ სამამულო ომის მე-2 ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენები.

მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში სამი მედალი დაიმსახურა ვაშლოვანელმა (ბორჯომის რაიონი) არჩილ იოსების-ძე გელაშვილმა. იგი ხუთი შვილის მამაა, ხუთ პატარა გულს გაახარებს მისი ჩამოსვლა. ნაზი, ეთერი, უშანგი, ნათელა და ქორა მოუთმენლად ელიან მამას. პატარა ქორა მამას არც კი უნახავს. იგი იმ დროს დაიბადა, როდესაც მეომარი ჰოსპიტალში იწვა და ომში მიღებულ ჭრილობებს იშუშებდა. მამაცმა პატრიოტმა ძლივს მოითმინა ჭრილობების შეხორცებამდე. ბრძოლა სწყუროდა შვილებისათვის, თავისუფალი სამშობლოსათვის. და კიდეც მიაღწია მიზანს. გამარჯვებული დაუბრუნდა სამშობლოს, საკუთარ კერას.

აგერ დედა ჩამოსულ შვილს ეხვევა, აი და-ძმა შეხვდა ერთმანეთს. მრავალი სიხარულის ცრემლი დაიღვარა იმ დღეს თბილისის სადგურზე.

დემობილიზებულთა ეშელონს შეხვდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგე ამხ. შ. გვასალია, პოლკოვნიკი მღვდელაძე, ქალაქ თბილისის სამხედრო კომისარი გ. ცქიტიშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი გ. ტატიშვილი და სხვა ამხანაგები.

სადგურზე გაიმართა სიმღერა, ცეკვა. აი საცეკვაო რკალი გაარღვია ახოვანმა მებრძოლმა, ქუთაისელმა ვიქტორ ივანეს-ძე ბესტვინაძემ. საუკეთესო ბრძოლისათვის მას მიღებული აქვს დიდების ორდენი. მედლები და უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ **სტალინის** ექვსი მადლობა.

დემობილიზებულმა ბიძინა მიხეილის-ძე საყვარელიძემ ბრძოლით გაიარა რუმინეთი, უნგრეთი, ავსტრია, დაჯილდოებულია მედლებით „სტალინგრადის დაცვისათვის“, „ბუდაპეშტის აღებისათვის“ და სხვა.

ალექსანდრე მიხეილის-ძე ხითაროვი იბრძოდა უკრაინის მეორე და მესამე ფრონტებზე. მას მიღებული აქვს წითელი ვარსკვლავის ორი ორდენი.

— ჩვენ გამარჯვებულნი ვართ, ჩვენ სტალინური ეპოქის შვილები ვართ, სტალინური გენიით ნაზარდნი, —წაიკითხავდით ყოველი მებრძოლის სახეზე.

ქ. კვიჟინაძე

20 ნოემბერი.

# ციტრუსების ნაყოფის კრეფა

**მახარაძე** („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად დაიწყო ციტრუსების ნაყოფის კრეფა.

სოფელ ნატანების კოლმეურნეობამ გეგმით უნდა მოჰკრიფოს 8 მილიონი ცალი ციტრუსი, სოფელ შრომის კოლმეურნეობამ — 5 მილიონი ცალი.

სოფელ შრომის კოლმეურნეებმა იკისრეს გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩააბარონ ერთი მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი. კოლმეურნე პ. ხომერიკმა პირობა დასდო — თავის საკარმიდამო ნაკვეთიდან სახელმწიფოს ჩააბაროს 70.000 ცალი ნაყოფი, რ. კეჭეყმაძემ და ქ. ჩხაიძემ კი—50.000 ცალი თვითეულმა.

ციტრუსების ნაყოფის მიღებას მომზადებული ხვდება ნატანების საფუთავი ქარხანა (დირექტორი რუხაძე). ქარხანამ სეზონის დაწყების პირველ დღეს, 21 ნოემბერს, გადაამუშავა 150.000 ცალი ნაყოფი.

ლ. ლოლაძე

# ტუნგოს უხვი მოსავალი

ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობაში (ქობულეთის რაიონი) ჰკრეფენ ტუნგოს. სტახანოველმა ოლია სალომკამ 21 ნოემბერს მოჰკრიფა 850 კილოგრამი ტუნგო, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 145 კილოგრამისა.

ტუნგოს ნაყოფის აღების პირველ დღეს მეურნეობამ მოჰკრიფა და გაგზავნა 19,8 ტონა ნაყოფი.

# მუშათა სანატორიუმი საერთო საცხოვრებელში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ქარხნის საერთო საცხოვრებელში (საბჭოს ქუჩა, № 151) მოეწყო მუშათა სანატორიუმი 50 საწოლით.

პირველ დეკემბერს სანატორიუმი მიიღებს სტახანოველ მუშათა პირველ ჯგუფს, რომელიც ორ თვეს, მუშაობის შემდეგ, დაისვენებს სანატორიული რეჟიმის პირობებში; მუშებს ექნებათ გაძლიერებული კვება და სამედიცინო ზედამხედველობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით სანატორიუმში არის საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. აქ მოეწყობა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების შესწავლა.

# გეგმის შესრულება

**სტალინირი** („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 ნოემბრისათვის საშემოდგომო თესვის გეგმა 104,6 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით დათესილია 14 ჰექტარი.

ზნაურის რაიონმა დასთესა 5.000 ჰექტარი. გეგმა 100 პროცენტით შესრულა. ასევე შეასრულა თესვის გეგმა ჯავის რაიონმა. თესვაში ჩამორჩენილია სტალინირის რაიონი.

# „დინამოს“ გუნდის საპატიო გამარჯვება

შესდგა შეხვედრა, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდა ფეხბურთის ყველა მოყვარული. მეგობრულ სპორტულ შეტაკებაში ლონდონის სტადიონის მწვანე მინდორზე ჩვენი მოსკოველი ფეხბურთელები შეხვდნენ სახელგანთქმულ „კანონირებს“, როგორც ინგლისში „არსენალის“ ოსტატებს ეძახიან. ინგლისის გაზეთები ამ მატჩის ცოტა ხნის წინ სწერდნენ, რომ რუსეთში ინგლისური ფეხბურთი და „არსენალი“ „სინონიმებიაო“. მართალიც არის! საეჭვოა მსოფლიოში მოიპოვებოდეს გუნდი, რომლის პოპულარობაც ისე დიდი იყოს, როგორც ლონდონის „არსენალისა“. განთქმული „კანონირები“—„არსენალელები“ მთელ მსოფლიოში უკვე დიდი ხანია ცნობილი არიან ინგლისური ფეხბურთის საუკეთესო ტრადიციების დამცველებად, ტყავის ბურთის ძლევამოსილ ოსტატებად.

მოსკოველი დინამოელების ბრწყინვალე გამოსვლამ ინგლისში, კლუბ „ჩელსისთან“ მებრძოლურმა ყაიმმა და „კარდიფ-სიტისთან“ მნიშვნელოვანმა მოგებამ „არსენალელები“ დააფიქრეს მოსკოველებთან მათი მომავალი შეხვედრის ბედზე. იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელიც დღეს „დინამოს“ წინააღმდეგ თამაშობდა „არსენალიდან“ მხოლოდ ოთხი მოთამაშე იყო, ხოლო შვიდი მოთამაშე, მათ შორის ინგლისის საუკეთესო მარჯვენა გარემარბი, ცნობილი მეტიუსი, მოწვეული იყო ინგლისის უძლიერესი პროფესიული კლუბებიდან. ამან მოსკოვის გუნდის კაპიტანი სემიჩასნი აიძულა თამაშის წინ პრესაში გაეკეთებინა განცხადება იმის შესახებ, რომ „დინამოელები“ მათ წინააღმდეგ მოთამაშე გუნდს განიხილავენ როგორც ინგლისის ერთ-ერთ ნაკრებ გუნდს.

მატჩმა ლონდონელთა არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია. ასათასზე მეტი მაყურებელი მოვიდა „ტოტენჰემის“ სტადიონზე. „არსენალთან“ შეხვედრამ არანაკლები ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის ჩვენს მოყვარულთა შორისაც. საკმარისი იქნება ითქვას, რომ მატჩის საათებში „უკანასკნელი ცნობების“ რედაქციის ტელეფონებმა 600-ზე მეტი ცნობა მისცეს მატჩის მიმდინარეობის შესახებ მოსკოველებს, რომლებიც განუწყვეტლივ რეკავდნენ...

თამაში მიმდინარეობდა ჩვენი ფეხბურთელებისათვის უჩვეულო პირობებში, რომლებიც საკვირველად მოეჩვენებოდათ მოსკოვის სტადიონების მაყურებლებს. ნისლში, სქელ ლონდონურ ნისლში იყო გახვეული ტრიბუნები, სათამაშო მოედნები, ფეხბურთელები, კარები. ჩვენი რადიოკომენტატორის სინიავსკის ლაპარაკიდან ჩვენ გვესმოდა, რომ იგი, მიუხედავად იმისა, რომ „ტოტენჰემის“ სტადიონზე იმყოფებოდა, ბევრად უკეთესად ვერ ხედავდა, ვიდრე ჩვენ, რომლებიც მატჩის დრამატიულ მომენტებს ჩვენს მიმღებებთან განვიცდიდით. ნისლმა დაჰფარა ჩვენგან მათი გვარები, ვინც თავიანთი დარტყმებით გადასწყვიტა ეს მატჩი, მაგრამ თამაშის მსვლელობა ჩვენთვის გასაგები იყო. დინამოელები პირველივე წამიდან გადავიდნენ შეტევაზე, და თამაშის სულ ნახევარი წუთი თუ იქნებოდა გასული, რომ „არსენალის“ კარში პირველი ბურთი შევარდა. ნისლი სქელდებოდა. თამაში სულ უფრო ძნელი ხდებოდა. მეთხუთმეტე წუთზე ინგლისელებმა შესძლეს ანგარიშის გათანაბრება. ტაიმის დასასრულისათვის ინგლისელებმა გაიტანეს კიდევ ორი ბურთი დინამოელთა კარში, მაგრამ თამაშის პირველი ნახევრის ზედ ბოლოს დინამოელებმა კიდევ ერთი ბურთით უპასუხეს, რითაც პირველი ტაიმის ანგარიში მიიყვანეს 3:2-მდე ინგლისელთა სასარგებლოდ. თამაშის მეორე ნახევარი პირველზე არანაკლები დაძაბულობით მიმდინარეობდა. დინამოელებმა ინგლისის გუნდის კარში გაიტანეს ორი ბურთი, თავიანთ კარში კი არცერთი არ შეუშვეს და, ამრიგად, მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელ პროფესიონალ ფეხბურთელებს ჯერ არასოდეს არ წაუგიათ თავიანთ ტერიტორიაზე უცხოელ გუნდებთან. ამიტომ დიდი მისალოცავი არიან ჩვენი დინამოელები, რომლებმაც შესძლეს მძიმე და უჩვეულო პირობებში საპატიო გამარჯვება მოეპოვებინათ განთქმული „არსენალის“ მოთამაშეებისა და ინგლისის პროფესიული კლუბების საუკეთესო ფეხბურთელებისაგან შემდგარ გუნდთან.

ლევ კასილი

## საფრანგეთის ახალი მთავრობა

**პარიზი,** 21 ნოემბერი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ გენერალმა დე გოლმა ჩამოაყალიბა მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

დროებითი მთავრობის თავმჯდომარე გენერალი შარლ დე გოლი, შეიარაღებული ძალების მეთაურმა იკისრა აგრეთვე ნაციონალური თავდაცვის ხელმძღვანელობა. გენერალ დე გოლის თანაშემწეები ნაციონალური თავდაცვის ხელმძღვანელობის დარგში არიან: შეიარაღებული ძალების მინისტრი ედუარდ მიშლე („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტია) და შეიარაღების მინისტრი შარლ ტიონი (კომუნისტური პარტია);

უპორტფელო მინისტრები: ვენსან ორიოლი (სოციალისტი), ფრანსისკ გე („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა"), ლუი ჟაკინო („რესპუბლიკური ერთიანობა"), მორის ტორეზი (კომუნისტი);

იუსტიციის მინისტრი—ანრი ტეიტჟენი („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა");

შინაგან საქმეთა მინისტრი ადრიენ ტიქსიე (სოციალისტი);

საგარეო საქმეთა მინისტრი — ჟორჟ ბიდო („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა");

ეკონომიკის მინისტრი—ფრანსუა ბიიუ (კომუნისტი);

ფინანსთა მინისტრი— რენე პლევენი;

სამრეწველო წარმოების მინისტრი—მარსელ პოლი (კომუნისტი);

მიწათმოქმედებისა და მომარაგების მინისტრი—ტანგი პრიჟანი (სოციალისტი);

საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის მინისტრი—ჟიულ მოკი (სოციალისტი);

შრომის მინისტრი—ამბრუაზ კრუაზა (კომუნისტი);

სახალხო განათლების მინისტრი— პოლ ჯაკობი (რადიკალ-სოციალისტი);

კოლონიების მინისტრი—ჟაკ სუსტელი („წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი");

ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი—ეჟენ ტომა (სოციალისტი);

მოსახლეობის საკითხთა მინისტრი—რობერ პრიჟანი („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა").

რეკონსტრუქციისა და ქალაქთა კეთილმოწყობის მინისტრი—რაულ დოტრი;

ინფორმაციის მინისტრი—ანდრე მალრო.

ამრიგად, მთავრობაში შევიდა 5 კომუნისტი, 5 სოციალისტი, 5 „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" წევრი, 1 „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის" წარმომადგენელი, 1 ზომიერი, 3 სპეციალისტი—დოტრი, მალრო, პლევენი.

23 ნოემბერს გენერალი დე გოლი მთავრობის წევრებს წარუდგენს ეროვნულ დამფუძნებელ კრებას.

**პარიზი,** 21 ნოემბერი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ახალი მთავრობა, რომელიც გენერალმა დე გოლმა შეადგინა, შესდგება 21 წევრისაგან, ე. ი. ერთით ნაკლებისაგან, ვიდრე წინა კაბინეტი. სამხედრო და საზღვაო სამინისტროები და ავიაციის სამინისტრო შეცვლილია ორი სამინისტროთი:

შეიარაღებულ ძალთა და შეიარაღების სამინისტროებით, რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს დე გოლი, რომელიც ამავე დროს მთავრობის მეთაური და ნაციონალური თავდაცვის ხელმძღვანელია. სამხედრო ტყვეთა და გასახლებულთა საქმეების სამინისტრო გაუქმებულია. მომარაგების სამინისტრო შეუერთდა მიწათმოქმედების სამინისტროს. ჯანმრთელობის დაცვისა და საზოგადოებრივი ჰიგიენის სამინისტრო, რომელსაც დაემატა იმიგრაციისა და ოჯახის საქმეთა სამმართველო, მოსახლეობის საკითხთა სამინისტროდ გადაიქცა.

## ტრუმენის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

**ვაშინგტონი,** 20 ნოემბერი. (საქდესი). პრეს-კონფერენციაზე გამოსულმა პრეზიდენტმა ტრუმენმა განაცხადა ამერიკის არმიის შტაბის უფროსის გენერალ მარშალის დაუყოვნებლივ გადაყენებისა და მის პოსტზე ეიზენჰაუერის დანიშვნის შესახებ. გარდა ამისა, ტრუმენმა განაცხადა, რომ ამერიკის არმიის შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე გენერალი ჯოზეფ მაკნერნი დანიშნულია ევროპაში ამერიკის ძალების სარდლისა და გერმანიის საკონტროლო საბჭოში ამერიკის წარმომადგენლის პოსტებზე, რომლებიც ეიზენჰაუერს უკავია. ტრუმენმა გამოაცხადა, რომ გადაყენებულია ამერიკის ფლოტის მთავარსარდალი ფლოტის ადმირალი კინგი და ამ პოსტზე დანიშნულია ფლოტის ადმირალი ნიმიცი. ტრუმენის განცხადებით, წყნარ ოკეანეში ამერიკის ფლოტის სარდლის პოსტზე, რომელიც ნიმიცს უკავია, დანიშნული იქნება ადმირალი სპრიუენსი.

კორესპონდენტთა შეკითხვების პასუხად ტრუმენმა განაცხადა, რომ ამერიკის არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა არმიის გენერალმა არნოლდმა და ამერიკის არმიის საინტენდანტო სამსახურის უფროსმა გენერალმა სომერველმა გადადგომა ითხოვეს, მაგრამ ეს გადადგომა პრეზიდენტს ჯერ კიდევ არ მიუღია.

ერთმა კორესპონდენტმა ტრუმენს გაახსენა, რომ ეიზენჰაუერი მხარს უჭერდა და ნიმიცი არ ეწინააღმდეგებოდა წინადადებას შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანების შესახებ, და შეეკითხა ტრუმენს, აპირებს თუ არა იგი გამოსთქვას თავისი აზრი ამ საკითხზე. ტრუმენმა განაცხადა, რომ იგი თავის შეხედულებებს აცნობებს კონგრესს წერილით.

მუშათა და მეწარმეთა კონფერენციის პერსპექტივების შესახებ შეკითხვაზე ტრუმენმა უპასუხა, რომ კვლავ არის იმედი, რომ კონფერენცია შეიმუშავებს კონკრეტულ პროგრამას მუშებსა და მეწარმეებს შორის უთანხმოების მოსაწესრიგებლად, როგორც ამის შესახებ რჩევა მისცა ტრუმენმა, როცა კონფერენცია გაიხსნა. ტრუმენმა უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვაზე—მოწმობს თუ არა რამე იმას, რომ თეთრი სახლი ჩაერევა იმ მდგომარეობაში, რაც დეტროიტში საავტომობილო მრეწველობაში შეიქმნა და რაც გაფიცვის საფრთხეს ჰქმნის.

## ახალი მთავრობა საბერძნეთში

**ათენი,** 21 ნოემბერი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, მას შემდეგ, რაც მონარქისტულმა ეგრეთწოდებულმა „სახალხო პარტიამ" უარი სთქვა კოალიციურ მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე, კაბინეტის შედგენა მიენდო ლიბერალური პარტიის ლიდერს სოფულისს. ახალ მთავრობაში სოფულისს გარდა შევიდნენ პროგრესისტთა ლიდერი კაფანდარისი — პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, ემანუილ სუდერისი — მეორე მოადგილე და აღდგენის მინისტრი, მასვე დაეკისრა ფინანსთა მომარაგების და ნაციონალური ეკონომიკის სამინისტროთა მუშაობის კოორდინირება, აგრარული პარტიის ხელმძღვანელი მილონასი — ფინანსთა მინისტრი, სოფიანოპულოსი — საგარეო საქმეთა მინისტრი.

მონარქისტული პრესა მკვეთრი კრიტიკით შეხვდა მთავრობის კრიზისის ახალ გადაჭრას. მონარქისტები მოითხოვდნენ ბევინის დეპეშის გამოქვეყნებას. გაზეთი „ელინიკონ ემა" მოუწოდებდა არმიასა და თავის მომხრეთ „საბრძოლო მზადყოფნისაკენ" დემოკრატიის წინააღმდეგ.

მთავრობის შედგენა გაძნელდა რეგენტის მოულოდნელმა მოთხოვნამ, რომ კაბინეტის შემადგენლობაში სამხედრო მინისტრად შეეყვანათ პაპანდრეუ და მისი „პარტიისათვის" მიეცათ საზღვაო მინისტრის პორტფელი. ლიბერალები, რომლებიც, როგორც სჩანს, შიშობდნენ, რომ ასეთ ვითარებაში მთავრობას მოუხდებოდა გაეზიარებინა პაპანდრეუს მთელი არაპოპულარობა, წინააღუდგნენ რეგენტის ამ მოთხოვნას.

**ათენი,** 21 ნოემბერი. (საქდესი). მას შემდეგ, რაც სოფულისმა უარი სთქვა პაპანდრეუსათვის გადაეცა ორი დიდმნიშვნელოვანი სამინისტრო, არქიეპისკოპოსმა დამასკინოსმა უარი სთქვა რეგენტობაზე. რეგენტის ფუნქციები დროებით იკისრა კანელოპულოსმა, რომელმაც მიიღო ახალი მთავრობის ფიცი.

## კონსერვატორთა მომავალი რეზოლუცია ლეიბორისტული მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის შესახებ

**ლონდონი,** 20 ნოემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 20 ნოემბერს საღამოს გამოცხადდა, რომ კონსერვატიული ოპოზიცია თემთა პალატაში შეიტანს რეზოლუციას ლეიბორისტული მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის შესახებ ამ მთავრობის პროგრამის გამო, რომელიც მოითხოვს ინგლისის მრეწველობის მთელი რიგი წამყვანი დარგების ნაციონალიზაციას, საშინაო ფრონტზე საქმის ჩაფუშვის გამო, რასაც მას მიაწერენ, და საბინაო მშენებლობის დარგში წარმოებულ პოლიტიკასთან და შეიარაღებული ძალების დემობილიზაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებული მეტისმეტად დიდი ხარჯების გამო. როგორც მოელიან, ამ რეზოლუციას, რომელიც თემთა პალატაში მომავალ კვირაში იქნება შეტანილი, ხელს მოაწერენ: ოპოზიციის ლიდერი ყოფილი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ანტონი იდენი, სამხედრო წარმოების ყოფილი მინისტრი ოლივერ ლიტლტონი და კონსერვატიული პარტიის სხვა თვალსაჩინო ხელმძღვანელები. ფიქრობენ, რომ რეზოლუცია კვირის დამლევს გამოიწვევს კამათს, რასაც, ალბათ, კენჭისყრა მოჰყვება.

## ბრძოლები ინდონეზიაში

**ლონდონი,** 21 ნოემბერი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს კუნძულ იავაზე მყოფი მოკავშირეთა სარდლობის შტაბის 19 ნოემბერს ბატავიაში გამოქვეყნებულ კომუნიკეს ინდონეზიაში სამხედრო მოქმედების შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ სურაბაიაში სროლა იყო ხიდის რაიონში. მოკავშირეთა არტილერიამ ჩაახშო ტანკიდან წარმოებული სროლა. ღამის განმავლობაში ბატავიაში გრძელდებოდა სროლა კრამატის რაიონში. სემარანგის რაიონში ინგლისის ჯარებს საწყისი პოზიციები უკავიათ.

**სან-ფრანცისკო,** 21 ნოემბერი. (საქდესი). სან-ფრანცისკოს რადიო გადმოგვცემს ასოშიეტედ პრესის სააგენტოს ცნობას იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის სამხედრო სარდლობა იავაზე შეშფოთებას გამოსთქვამს ცენტრალურ იავაში არსებული მდგომარეობის გამო, სადაც ინდონეზიელთა ლიდერები ინდონეზიის ჯარებს მოუწოდებენ არ დაჰყარონ იარაღი, ვიდრე ინგლისელები განდევნილი არ იქნებიან. ჰოლანდიელმა ხელისუფლებამ ბატავიაში ბრძანება გასცეს სემარანგის ინდონეზიელი გუბერნატორის დაპატიმრების შესახებ. სურაბაიაში უკვე მეათე დღეა გრძელდება ბრძოლა. ბრიტანეთის ჯარები თანდათანობით აღწევენ ქალაქის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ჯერ კიდევ ინდონეზიელებს უკავიათ.

## პირსონი ინდონეზიაში აჯანყების ჩახშობაში ამერიკის შეერთებული შტატების როლის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 19 ნოემბერი. (საქდესი). გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველმა პირსონმა განაცხადა, რომ თუმცა ამერიკელმა ხალხმა ეს არ იცის, მაგრამ ამერიკელ ჯარისკაცებს კუნძულ გუამზე იყენებენ კუნძულ იავაზე მყოფი ინგლისელთა და ჰოლანდიელთა არმიებისათვის განკუთვნილი მასალების დასატვირთავად ამერიკულ გემებზე. ამერიკელი ჯარისკაცები მეტად უკმაყოფილონი არიან ამით, ვინაიდან ისწრაფვიან რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისინი პროტესტს აცხადებენ აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იმ გემებს, რომლებიც განკუთვნილია დემობილიზებულთა შინ გასაგზავნად, იყენებენ იმისათვის, რომ დახმარება გაუწიონ აჯანყების ჩახშობას ინდონეზიაში. ამის წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინგლისელებს გადასცეს ერთი ასეთი გემი „სტენფორდ ვიქტორი", რომლითაც ინგლისელებმა გაგზავნეს მაროკოელთა ჯარები ფრანგებისათვის დახმარების გასაწევად აჯანყების ჩახშობაში ინდო-ჩინეთში.

## ეტლი ინგლისს დაბრუნდა

**ლონდონი,** 21 ნოემბერი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრი ეტლი 20 ნოემბერს ინგლისს დაბრუნდა.

## დაიწყო გერმანელ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი

**ნიურნბერგი,** 20 ნოემბერი. (საქდესი). დღეს ადგილობრივი დროით დილის 10 საათზე (12 საათზე მოსკოვის დროით) შესდგა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სხდომა.

ზედიზედ მრავალი წლის მანძილზე ჰიტლერელები ნიურნბერგში მართავდნენ თავიანთ ყრილობებს, სადაც სახავდნენ მსოფლიოს დამონების აგრესიულ გეგმებს, სადაც დაფდაფთა ხმებში ფაშისტები ყოყოჩობდნენ თავიანთი გამარჯვებებით და აცხადებდნენ „ახალ წესრიგს" ევროპაში.

ბევრი მათგანი, ვინც ახლა ბრალდებულთა სკამზე ზის, ფაშისტების ამ ხროვის აქტიური ხელმძღვანელი, დანაშაულებრივი ჰიტლერული გეგმების აქტიური მქადაგებელი იყო და ამ გეგმებს პრაქტიკულად ახორციელებდა.

სხდომის გახსნის წინ დარბაზი ხალხით გაიჭედა. ბრალდებულთა სკამზე ზის ოცი მთავარი გერმანელი სამხედრო დამნაშავე. ოთხი ბრალდებული აკლია. არ არის მარტინ ბორმანი—ჰიტლერის მოადგილე ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელობის დარგში. იგი ლაჩრულად გაიქცა მას შემდეგ, რაც გაფითრებით მოუწოდებდა გერმანიის არმიასა და გერმანელ ხალხს ებრძოლნათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ბრალდებული რობერტ ლეი გასამართლებას არ დაელოდა და თავი ჩამოიხრჩო საპატიმროში. ბრალდებული გუსტავ კრუპ ფონ ბოლენი ზალცბურგში წევს დამბლადაცემული და, ექსპერტიზის აზრით, ვერ წარუდგება სამსჯავროს წინაშე. ბრალდებული კალტენბრუნერი, ცნობილი ჯალათი და გესტაპოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უეცრად ავად გახდა. მაგრამ სასამართლომ გამოაცხადა, რომ დაუსწრებლად გაასამართლებს.

ბრალდებულნი შემდეგი წესით სხედან: პირველ სკამზე—გერმან გერინგი, რუდოლფ ჰესი, იოახიმ რიბენტროპი, კაიტელი, ალფრედ როზენბერგი, ფრანკი, ფრიკი, შტრაიხერი, ფუნკი, შახტი; მათ შემდეგ მეორე სკამზე სხედან ჰიტლერის უღირსი მემკვიდრე, ყოფილი გროსადმირალი დენიცი, რედერი, შირახი, ზაუკელი, იოდლი, პაპენი, ზეის-ინკვარტი, შპეერი, ნოირატი, ფრიჩე. რუდოლფ ჰესი ცდილობს მოიგონოს სულით ავადმყოფობა, რათა თავიდან აიცილოს სამართლიანი სასჯელი თავისი დანაშაულობათათვის. მაგრამ თავისი „შეშლილობის" მიუხედავად, ჰესი გაცხოველებით და საქმიანად ელაპარაკება მის გვერდით მჯდომარე გერინგსა და რიბენტროპს.

ბრალდებულთა მახლობლად თავიანთ ადგილი უკავიათ გერმანელ დამცველებს. ბრალდების წარმომადგენელთა ადგილები დარბაზის ცენტრშია. პროცესს ესწრებიან 31 ქვეყნის პრესის წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა პრესის წარმომადგენლები.

შემოდიან საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წევრები. თავიანთ ადგილს იკავებენ საბჭოთა მოსამართლე იუსტიციის გენერალ-მაიორი ნიკიტჩენკო, მისი მოადგილე პოდპოლკოვნიკი ვოლჩკოვი, ამერიკელი მოსამართლე ფრენსის ბიდლი, მისი მოადგილე პარკერი, ბრიტანელი მოსამართლე ლოურენსი, მისი მოადგილე მოსამართლე ბირკეტი, ფრანგი მოსამართლე ანრი დე ვაბრი, მისი მოადგილე რობერტ ფალკო.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე ლოურენსი სხდომას ხსნის მოკლე სიტყვით. იგი ამბობს: „ეს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი დაარსებულია ლონდონის 1945 წლის 8 აგვისტოს შეთანხმების და ამ შეთანხმებასთან დართული ტრიბუნალის წესდების შესაბამისად. დაარსებული ტრიბუნალის მიზანი, როგორც ეს ნათქვამია წესდების 1 მუხლში, არის „ღერძის ქვეყნების მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სწრაფი და სამართლიანი გასამართლება და დასჯა".

შემდეგ ლოურენსმა აღნიშნა, რომ ბრალდებულებს ჰყავთ დამცველები, რომელთა უმრავლესობა თვითონ ბრალდებულებმა აირჩიეს. მაგრამ ზოგჯერ, როცა ბრალდებულებს არ შეეძლოთ აერჩიათ თავისი დამცველი, ტრიბუნალმა თვითონ დანიშნა შესაფერი დამცველები, რომლებიც მისაღებია ბრალდებულთათვის. ტრიბუნალის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროცესი, რომელიც ახლა დაიწყო, ერთადერთი ამგვარი პროცესია მსოფლიო იურისპრუდენციის ისტორიაში, მას უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანისათვის.

ტრიბუნალის თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ ბრალდების წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს საბრალდებო დასკვნის ტექსტი, რის წაკითხვაც გაგრძელდა საღამოს სხდომაზეც.

### 21 ნოემბრის დილის სხდომა

**ნიურნბერგი,** 21 ნოემბერი. (საქდესი). საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის დილის სხდომა იწყება დამცველ დ-რ დიქის გამოსვლით. დაცვის სახელით იგი ტრიბუნალის წინაშე შუამდგომლობს მიეცეს დაცვას უფლება ყოველდღე სხდომის წინ ინახულოს ბრალდებულები. თავის ამ მოთხოვნას დამცველი იმით ასაბუთებს, რომ ტრიბუნალმა დაცვის წარმომადგენლებს აუკრძალა აწარმოონ მოლაპარაკება თავიანთ მარწმუნებლებთან სასამართლოს სხდომის მიმდინარეობის დროს.

თავმჯდომარემ მოსამართლე ლოურენსმა უარჰყო დაცვის ეს შუამდგომლობა, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნია სასამართლოს სხდომის მიმდინარეობის დროს დამცველებს წერილობითი ურთიერთობა ჰქონდეთ თავიანთ მარწმუნებლებთან.

შემდეგ გამოდის ბრალდებულ როზენბერგის დამცველი. იგი ტრიბუნალს აცნობებს, რომ თავისი მარწმუნებლისაგან მიიღო წერილობითი განმარტება იმის შესახებ, თუ რა პასუხის გაცემას აპირებს იგი სასამართლოს შეკითხვაზე—დამნაშავეა თუ არა. „გთხოვთ, — აცხადებს დამცველი,—შეწყვიტოთ ტრიბუნალის სხდომა იმისათვის, რომ შემეძლოს მოველაპარაკო ჩემს მარწმუნებელს. იგივე სურთ ჩემს კოლეგებსაც". თავმჯდომარე ლოურენსი აკმაყოფილებს დაცვის ამ თხოვნას და თანხმდება შეწყდეს სხდომა 15 წუთით, მაგრამ იგი მოაგონებს დაცვის წარმომადგენლებს, რომ მათ ბევრი კვირა ჰქონდათ ბრალდებულებთან ურთიერთობისათვის.

შეწყვეტის დამთავრების შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარე იწყებს ბრალდებულთა პერსონალურ გამოკითხვას. მიკროფონთან პირველი მიდის ბრალდებული გერმან გერინგი. ხელში მას ფურცელი ქაღალდი უჭირავს. მას უნდა ლაპარაკი დაიწყოს, მაგრამ თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს, და გერინგი აცხადებს, რომ იგი თავს არ სცნობს დამნაშავედ „იმ აზრით, როგორც ეს საბრალდებო დასკვნაშია ჩაწერილი". შემდეგ თავისი ადგილიდან ნერვიულად დგება ჰესი და აცხადებს: „არა". ზეზე დგება რიბენტროპი და ჩუმი ხმით ამბობს: „თავს არ ვცნობ დამნაშავედ იმ აზრით, როგორც ეს საბრალდებო ოქმშია მოყვანილი". ყოფილი გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი და ყველა დანარჩენი ბრალდებული აგრეთვე აცხადებს, რომ ისინი თავს არ სცნობენ დამნაშავედ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ბრალდებულ კალტენბრუნერის ავადმყოფობის გამო მისი საქმე მოსმენილი იქნება მის დაუსწრებლად.

გამოკითხვა დამთავრებულია.

შემდეგ სიტყვით გამოდის მთავარი ბრალმდებელი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან რობერტ ჯექსონი.

## რეპრესიები აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ ირანში

**თეირანი,** 18 ნოემბერი. (საქდესი). თეირანის გაზეთებმა გამოაქვეყნეს, როგორც სჩანს, ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ცნობა იმის შესახებ, თუ რა ამბები ხდება უკანასკნელ ხანს ჩრდილოეთ ირანში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით, რაც აქ მიმდინარეობს. ამ ცნობაში ამტკიცებენ, რომ აზერბაიჯანიდან მიღებული ცნობებით, ვითომც აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის წევრებს განზრახვა აქვთ აჯანყება მოახდინონ და ძალაუფლებაც კი ჩაიგდონ ხელში. ცნობაში ნათქვამია, რომ ორი დღის წინად აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის წევრთა შეიარაღებულმა ჯგუფმა გლეხების დახმარებით მიანეს მახლობლად დაიკავა თეირანისა და თავრიზის დამაკავშირებელი გზა, ხოლო შეიარაღებული ადამიანების მეორე ჯგუფი თავს დაესხა ჟანდარმთა საგუშაგოს დაბა აჯაბშირში, მერაგის მახლობლად და განაიარაღა ჟანდარმები. გელქანდში (იმავე მერაგის რაიონში) გლეხებმა უარი განაცხადეს მემამულეების ხვედრი მოსავლის გადახდაზე. გაზეთებში წერენ, ვითომ თავდასხმა მოახდინეს ჟანდარმთა საგუშაგოზე და სხვა.

მაგრამ, აქ მიღებული ცნობებით, საქმის ნამდვილი ვითარება სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. უკანასკნელ ხანს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საარჩევნო კამპანიის გაჩაღებასთან დაკავშირებით, ადგილობრივმა ჟანდარმებმა რეაქციული ელემენტების დახმარებით რეპრესიები დაიწყეს მთელ რიგ რაიონებში, კერძოდ სერაბსა და მიანეში დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ და პროვოკაციით გამოიწვიეს შეიარაღებული შეტაკება მოსახლეობასთან, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ ბრალად სდებენ სეპარატიზმს. ამ პროვოკაციებისა და თავდასხმების მიზანია ჩაახშონ და გაანადგურონ მოსახლეობის დემოკრატიული მოძრაობა ჩრდილოეთ ირანში, სადაც სახლობენ აზერბაიჯანელები, რომლებმაც ჩრდილოეთ ირანში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (ანჯუმენთა) არჩევნების დროს წამოაყენეს მთელი რიგი ელემენტარული მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამებიან მათ ეროვნულ მისწრაფებებს და სავსებით ჩვეულებრივია ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. მიტინგებსა და კრებებზე, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ ირანის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებმა, მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოთხოვნებს, რომ ჩრდილოეთ ირანში აზერბაიჯანელებისათვის მოეწყოს სკოლები, სადაც სწავლა იქნება არა მარტო ირანულ, არამედ აგრეთვე მათ დედა ენაზე, რომ ადგილობრივ სასამართლოებში სასამართლო წარმოება მიმდინარეობდეს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ენაზე და სხვა. არც ერთ ამ მიტინგსა და კრებაზე, ჩრდილოეთ ირანში იმ პოპულარული დემოკრატიული პარტიის მოღვაწეთა არც ერთ გამოსვლაში, რომელიც მხარს უჭერს აზერბაიჯანელთა ეროვნულ მოთხოვნებს, არ ყოფილა არავითარი სეპარატისტული მოწოდება. პირიქით, ყველგან ლაპარაკი იყო ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელებაც უნდა უზრუნველყოფილ იქნას ირანის სახელმწიფოს ფარგლებში.

მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ ირანში დემოკრატიული მოძრაობის განვითარებით დაშფოთებულმა რეაქციულმა ელემენტებმა მიმართეს მთელ რიგ უხეშ რეპრესიებს იმ საბაბით, რომ აღმოფხვრან სეპარატიზმი, რის პროპაგანდაც ვითომ სწარმოებს ჩრდილოეთ ირანის აზერბაიჯანელთა შორის.

თეირანის გაზეთებში გამოქვეყნებულია პოლიციის ცნობა „მეამბოხეთა" წინააღმდეგ ღონისძიებების შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ფეროდუნმა, გენერალური შტაბის უფროსმა არფამ და მთავარი სამმართველოს უფროსმა ზარაღიმ თავრიზში პირდაპირი მავთულით გადასცეს ბრძანება და მოითხოვეს უზრუნველყოფილ იქნას წესრიგი „ყოველი საშუალებით".

ყველა ამ ღონისძიებას ახორციელებენ იმ საბაბით, რომ საჭიროა თავიდან აიცილონ აჯანყება, რაც ვითომ მზადდება ირანულ აზერბაიჯანში. აზვიადებენ აგრეთვე ცალკეულ უმნიშვნელო ინციდენტებს და შეტაკებას ჟანდარმებთან. სინამდვილეში არარსებული „სეპარატისტების" ვითომდა ამბოხების წინააღმდეგ თავდაცვის საბაბით, მიმართავენ მუქარას, რომ აამოქმედებენ ჯარის ნაწილებს ჩრდილოეთ ირანის აზერბაიჯანელი მოსახლეობის დემოკრატიულ ორგანიზაციათა გასანადგურებლად და ჩასახშობად. გაზეთების ცნობით, აპატიმრებენ დემოკრატიულ მოღვაწეებს. გაზეთი „ეთელაათი" იუწყება, რომ თეირანში დააპატიმრეს დემოკრატიული პარტიის მოღვაწეები ისკანდერ სერაბი და ჰაშემ არინი, ამასთან საქმეს ისეთ ხასიათს აძლევენ, თითქოს ხსენებულ მოღვაწეებს განზრახული ჰქონდათ განეხორციელებინათ მთავრობის საწინააღმდეგო მოღვაწეობა.

## ფინეთის პროფკავშირები შეუერთდნენ მსოფლიო პროფკავშირულ ფედერაციას

**ჰელსინკი,** 21 ნოემბერი. (საქდესი). 18 ნოემბერს ჰელსინკში შესდგა ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების რწმუნებულთა ყრილობა. ყრილობამ განიხილა ფი[illegible] პროფკავშირთა საერთაშორისო კავშირურთიერთობის საკითხი და დაადგინა: სცნოს პროფკავშირთა მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებანი და პროფკავშირთა მსოფლიო კავშირის წესდება; დაამტკიცოს ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების წარმომადგენელთა მიერ პროფკავშირთა მსოფლიო კონფერენციაზე გაკეთებული განცხადება მსოფლიო პროფკავშირულ ფედერაციასთან შეერთების შესახებ და ამავე დროს დაადასტუროს ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების გამოსვლა პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებიდან.

სოხუმი. ქალაქის საბჭოს შენობა ლენინის ქუჩაზე. ფოტო გ. ტოლმაჩევისა.

## მრგვალი ქანდაკების უძველესი ნიმუშები საქართველოში

### (საუბარი მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის არმაზისხევის ჯგუფის უფროსთან, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატ გ. ლომთათიძესთან)

მცხეთის დასავლეთ გარეუბანში არმაზისხევთან წარმოებული გათხრები ყოველწლიურად ახალ მრავალფეროვან ძეგლებს ამზეურებენ და სულ უფრო აღრმავებენ და ავსებენ ჩვენს წარმოდგენას წარმართული საქართველოს კულტურის შესახებ.

როგორც ცნობილია, მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ ჯერ კიდევ 1940-41 წლებში აღმოაჩინა ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეთა ქართლის ერისთავების ანუ პიტიახშების საგვარეულო მდიდრული სამარხები. შემდეგ წლებში იმავე მინდორზე გაითხარა დიდი და თავის დროზე მდიდრულად დეკორირებული შენობის ნანგრევები. მთელი რიგი ნიშნების მიხედვით ეს შენობა ერისთავთა სამარხების თანადროული უნდა იყოს.

1944 წელს, ამ ნაგებობის ერთ-ერთი ნაწილის გაწმენდისას, აღმოჩნდა თეთრი მარმარილოს მომცრო ქანდაკების ნატეხი. როგორც ეტყობა, ქანდაკება შიშველ ქალს გამოსახავდა; შემორჩენილია მხოლოდ მისი მცირედი ნაწილი. ქანდაკება, ჩანს, ძველადვე ყოფილა გატეხილი და გადაგდებული: მონამტვრევი ადგილები კირქვის სქელი ქერქითაა დაფარული.

ამ მონაპოვარმა სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რადგან ეს იყო ქვის მრგვალი ქანდაკების პირველი ნიმუში, აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეთა ძეგლების გარემოცვაში. ინტერესს აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ ქანდაკება აშკარად ზემოაღნიშნულ შენობასთან დაკავშირებული სჩანდა. ეს შენობა კი ან ერისთავთა სასახლე შეიძლებოდა ყოფილიყო, ანტიკურ სასახლეთა ყაიდაზე მორთული, ან და მათივე წარმართული ტაძარი, რომლის მახლობლადაც მარხავდნენ ერისთავები თავიანთ მიცვალებულებს.

წელს აღმოჩნდა კიდევ უფრო საინტერესო ფრაგმენტი მეორე ქანდაკებისა. იგი გამოხატავს ქალის (ან ეგებ მოზარდის) მარჯვენა ხელის მტევანს, გამოქანდაკებულს წვრილმარცვლოვანი თეთრი ოდნავ მოვარდისფრო მარმარილოსაგან. ფრაგმენტის სიგრძე 7,5 სანტიმეტრს უდრის, სიგანე—5 სანტიმეტრს, ხოლო უდიდესი სისქე—3 სანტიმეტრს. ეს ნივთი ზედმიწევნით ფაქიზი ნამუშევარია და ანტიკური ხანის ოსტატს უნდა ეკუთვნოდეს.

ამრიგად, უკვე ხელთ გვაქვს ორი ფრაგმენტული, მაგრამ ფრიად მეტყველი ნაშთი მარმარილოს ქანდაკებებისა, რომელნიც თავის დროზე მდგარან ერისთავთა სასახლეში თუ ტაძარში. ეს გარემოება საფუძვლიანად არყევს დღემდე გაბატონებულ აზრს, თითქოს ძველი საქართველოსათვის უცხო იყო მრგვალი ქანდაკების ხელოვნება. (საქდესი).

## ვოროშილოვის სახელობის კროსი

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ყოველწლიურად შემოდგომაზე აწყობს ვოროშილოვის სახელობის ტრადიციულ კროსს. ათასობით ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურე და მოსწავლეები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას ამ შეჯიბრებაში.

წელს ვოროშილოვის სახელობის კროსი მოეწყობა კვირას, 25 ნოემბერს. კროსის ტრასი ძირითადად სტალინის სახელობის ქუჩაზე გადის. კროსის პროგრამაშია რბენა ქალებისათვის 50 და 1.000 მეტრზე, ხოლო ვაჟებისათვის 1.000 და 3.000 მეტრზე. ყველა დისტანციის ფინიში მოხდება კ. მარქსის სახელობის მცირე ხიდთან.

კროსში მონაწილე თბილისის სასპორტო ორგანიზაციები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში ჩარიცხული არიან ყველაზე ძლიერი და დიდი ორგანიზაციები: „დინამო", თბილისის გარნიზონი, „მედიკი", „ლოკომოტივი", „ბოლშევიკი", „ნაუკა", „კრილია სოვეტოვ". ამ ორგანიზაციებმა კროსში უნდა გამოიყვანონ გუნდები სულ მცირე 400 კაცის შემადგენლობით, აქედან 310 მამაკაცი და 90 ქალი. მეორე ჯგუფში მონაწილე ორგანიზაციებმა უნდა გამოიყვანონ 120 კაცი, ხოლო მესამე ჯგუფმა—90 კაცი.

გამარჯვებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომლის მთელი შემადგენლობა კროსს ნაკლებ დროში გაირბენს. კროსი დაიწყება დილის 11 საათზე. მთავარი მსაჯია რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯი ო. ლაკერბაია.

## კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**24 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე,** ლექტორების, მომხსენებლებისა და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება კონსულტაცია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტაციას ჩაატარებენ დოცენტები დოლიძე და მრევლიშვილი.

**23 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე,** შესდგება კონსულტაცია ფილოსოფიაში ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტაციას ჩაატარებს ამხ. ქორიძე.

**23 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე,** შესდგება ამხ. სულეიმანის საჯარო ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

### სემინარი

**23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე,** კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისათვის აწყობს სემინარს ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: „რუსეთის პირველი რევოლუცია".

სემინარს ჩაატარებს ამხ. ღარიბაშვილი.

## „დინამოს" მოჭიდავეთა გამარჯვება

17 და 18 ნოემბერს სახელმწიფო ცირკის შენობაში ჩატარდა გუნდური შეჯიბრება პირველობისათვის ქართულ ჭიდაობაში. პირველ ადგილზე გამოვიდა სასპორტო საზოგადოება „დინამოს" გუნდი, ხოლო მეორეზე „ლოკომოტივისა". გამარჯვებულ გუნდს გადაეცა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გარდამავალი ჯილდო — მოვარაყებული ვერცხლის ყანწი.

### ლექციები

**23 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე,** მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ხეთაგუროვის ქ. № 2) ინტელიგენციისათვის მოეწყობა ამხ. ქორიძის ლექცია ქართულ ენაზე „**დიალექტიკური მატერიალიზმი — ბოლშევიკური პარტიის მსოფლმხედველობაა**". დასწრება თავისუფალია.

**24 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე,** მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ხეთაგუროვის ქ. № 2) აგიტატორებისათვის მოეწყობა ამხ. ანთიძის ლექცია ქართულ ენაზე „**სტალინური კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა**".

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

### თეატრებში

**სახელმწიფო ოპერა** — 23/XI — „აიდა", 24/XI — „გედის ტბა". **რუსთაველის სახელობის** — 23/XI — „ტარიელის ქვეშ", 24/XI —„უდანაშაულო დამნაშავენი". **მარჯანიშვილის სახელობის** — 23/XI — „მოკვეთილი". 24/XI — „უძლეველნი". **გრიბოედოვის სახელობის**—23/XI — „მელიები", 24/XI—„ტყე".

### კინოებში

**22 ნოემბერს: რუსთაველის სახელობის,** დამკვრელი და კომკავშირელი — „არშინ-მალ-ალან". **ოქტომბერი**—„უდანაშაულო დამნაშავენი". **სპარტაკი**—„მისი მსახურის და". **ლუქსემბურგის სახელობის** — „სრულიად საკავშირო ფიზკულტურული პარადი". **26 კომისრის სახელობის** — „არშინ-მალ-ალან".

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველო და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებენ ღია კონკურსს** საქართველოს რაიონული ცენტრებისათვის კულტურის სახლების ტიპობრივი პროექტების შედგენაზე. პროექტების წარმოდგენის ვადა—1945 წლის 15 დეკემბერი. შედარებით უკეთეს პროექტებისათვის დაწესებულია პრემიები. კონკურსის პროგრამის მიღება შეიძლება საქართველოს არქიტექტორთა კავშირში, რუსთაველის პროსპექტი № 23, ტელეფონი 3-81-82.

მოქალაქე **მასმა ნაზიას-ასულმა ფარაჯევამ,** მცხოვრებმა აბანოს შესახვევი № 15, აღძრა საქმე ჭონქაძის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე **ფრიდონ აბასის-ძე ფარაჯევთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

საქართველოს ალპიური კლუბის საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება თავმჯდომარის, კლუბის ერთ-ერთი დამაარსებლის, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის და საბჭოთა მთამსვლელობის შესანიშნავი მოღვაწის **ალექსანდრე ბიჭიას-ძე ჯაფარიძის** დაღუპვას მწვერვალ უშბაზე. პანაშვიდი 25/XI, 1 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე (სიმონ ჯაფარიძის საფლავზე).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.85, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.51, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 08037